საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

5 ოქტომბერი **პარასკევი** 2012 №236 (13 842) ფასი 80 თეთრი




ეროვნული
ბიბლიოთეკა

2

# რამდენად დაღვინდა საქართველოს ნაკრები, ღვინობისთვე გვიჩვენებს



# როდის?

## ჩატარდება კახა კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი






2

# ჩვენთან სათამაშოდ ფინელებმა შემადგენლობა დაასახელეს

# მაქაბიმ მაქაბი მოიტოვა და მაქაბის შეხვდება

## შერმადინი ისრაელის თასის ფინალშია

11

UEFA EUROPA LEAGUE

# თითქმის უსენსაციოდ

*ევროპალიგა, II ტური*

6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# ქეცბაიას ექსკლუზივი

**თემურ ქეცბაიამ** ამ მატჩებისთვის გამოძახებულთა სია უკვე გამოამზეურა. ქეცბაიამ უხმო **ლევან ყენიას** და ცხადია, რომ ამით თანამშრომლობის ხელი გაუწოდა მომდურებულ ფეხბურთელს.

ყენიამ ცხელ გულზე თქვა, სანამ ქეცბაია იქნება ნაკრების მწვრთნელი, იქ მე არ ვითამაშებო. ქეცბაიამ ის მაინც გამოიძახა. მწვრთნელი ნდობას რომ უცხადებს მოთამაშეს, კარგი საქმეა და ქეცბაიაც ასე მოიქცა.

ქეცბაიას ყენია სჭირდება, რადგან საქართველოს ამ ნაკრებს ძალიან უჭირს ბურთის შენარჩუნება, ყოველ შემთხვევაში ბელარუსთან და ესპანეთთან ასე იყო. მცველები არც კი ცდილობდნენ ბურთის გაგორებით ამოტანას, გრძელი პასი წინ **ლევან მჭედლიძის** ან **თორნიკე ოქრიაშვილის** მისამართით.

საქართველოს ნაკრებს არ ჰყავს ისეთი საყრდენი ნახევარმცველები, ბრძოლის და ზონების გადაკეტვის გარდა ბურთის დამორჩილება-შენარჩუნებაც კარგად რომ შეუძლიათ. დაცვას თუ გადავხედავთ, ყველაზე ტექნიკური მცველი ალბათ **ზურაბ ხიზანიშვილია,** თუმცა წინ წასვლა მის სტილში მაინცდამაინც არ ჯდება. განაპირა მცველებს რაც შეეხებათ, **უჩა ლობჟანიძემ** და **დავით კვირკველიამ** ურიგოდ როდი წარმოაჩინეს თავი ესპანეთთან, თუმცა ნაკრებში მათი ფლანგური გარღვევები ნაკლებად გვახსოვს.

ბურთი **ჯანო ანანიძემ** უნდა შეინარჩუნოს – აქამდე ასეთად ჩანდა ქეცბაიას ჩანაფიქრი. ანანიძეს ტექნიკა და სხარტი გონება აქვს, მაგრამ ჩია აღნაგობა მაინც ურთულებს ზორბა შუახაზელებთან მეტოქეობას. ისიცაა, რომ მხოლოდ ანანიძის იმედად ვერ იქნება გუნდი, როცა გამუდმებით იგერიებს იერიშებს და ბურთის დაჭერით ამოსუნთქვა ძალიან სჭირდება.

ბურთის შენარჩუნება და გუნდის ამოყვანა ცენტრფორვარდსაც შეუძლია. ლევან მჭედლიძეს ეს გაუჭირდა ბელარუსთან და ესპანეთთან, თუმცა საერთო ჯამში ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია. მისი პასით **ალექსანდრე ამისულაშვილმა** კინაღამ გოლიც კი გაუტანა ესპანეთს – „ფურია როხა" ძელმა იხსნა.



ჟამი ჩვენი მღელვარებისა , როგორც იქნა, უკან მოვიტოვეთ. სექტემბერი არ იყო მხოლოდ პოლიტიკური მღელვარების თვე, ეროვნულმა ნაკრებმა ორი შეხვედრა გამართა ახალ შესარჩევში და ოქტომბერში ერთი ამდენს კიდევ ითამაშებს, ოღონდაც ახლა ორივე თამაში სტუმრად გვაქვს – 12 ოქტომბერს ფინეთთან და ოთხი დღის შემდეგ ბელარუსთან.

მაგრამ მაინც, მჭედლიძე გუნდის ამოყვანის საქმეში დიდად დახელოვნებული არ არის. მჭედლიძის გარდა ქეცბაიამ ფინეთ-ბელარუსთან მატჩებისთვის მხოლოდ ერთ ნომინალურ თავდამსხმელს უხმო – **ირაკლი სირბილაძეს.**

რა გითხრათ, უამრავი სანაკრებო სია მინახავს, მაგრამ ისეთი არა, როცა ორი მატჩისთვის მწვრთნელი მხოლოდ ორ ნომინალურ თავდამსხმელს იძახებს. რა უდევს საფუძვლად ქეცბაიას ექსკლუზივს, იოლი გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

ფეხბურთი ტრავმიანი სპორტია და როცა ორი მატჩისთვის მხოლოდ ორი თავდამსხმელი გყავს, დიდია რისკი, რომ სულაც ერთი ნომინალური ფორვარდის ამარა დარჩეს გუნდი. გასაგებია, რომ საქართველოს ეს ნაკრები დაცვით ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ ორი თავდამსხმელის გამოძახებით თავისებური შთაგონებაც კეთდება ფეხბურთელებზე – დაცვა, დაცვა და ისევ დაცვა!

ქეცბაიამ თავისი საქმისა უკეთ იცის, დაცვითი ფეხბურთით მოვუგეთ თავის დროზე ხორვატიას, იმავე სტილში დავამარცხეთ ამ შესარჩევში ბელარუსი. საქართველოს ნაკრებს ოდითგანვე ახასიათებდა გამონათებები, თუ არ ჩავთვლით **ექტორ კუპერის** მწვრთნელობის პერიოდს, ჩვენი უპირველესი გუნდი ყველა შესარჩევში გვახარებდა გამონათებებით. ქეცბაიას სათამაშო კონცეფცია ამისთვის უდავოდ საკმარისი გამოდგა, ეს უკვე ფაქტია და ყოველგვარი ირონიის გარეშე უნდა ითქვას, რომ ამასაც შეძლება უნდა.

ყველა მწვრთნელს შეუძლია იმის თქმა, რომ თავდამსხმელების რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რომ თანამედროვე ფეხბურთი ისე მიდის უნივერსალიზმისკენ, რომ გუნდში ყველა ფეხბურთელს შეუძლია გოლის გატანა, რომ "ბარსელონას" სულაც არ ჰყავს კლასიკური ცხრა ნომერი და მაინც ყველაზე მაგარი გუნდია...

ქეცბაიამ ამჯერად არ გამოიძახა **ჯაბა დვალი,** ვისაც ძველებურად გააქვს გოლები საქართველოს ჩემპიონატში. ერთ დროს დვალის მეწყვილე **ნიკა გელაშვილი** "ზესტაფონიდან" "ბოხუმში" კი გადავიდა, მაგრამ გერმანული კარიერა ჯერ კარგად ვერ აიწყო. **ლადო დვალიშვილსაც** ველარ გაქვს გოლები, **ალექსანდრე იაშვილი** კი, რომლისთვისაც გოლის გატანა მთავარი საქმე არ არის, თურმე საჭირო აღარ არის ნაკრებისთვის...

ნიშნის მოგებით მსჯელობა კარგი საქმე არ არის, მაგრამ ნაკრებში გაახალგაზრდავების პროცესზე ვინც ლაპარაკობდა, საქმე კარგად ვერ დაასრულა. **ვლადიმერ გუცაევი** რომ დაინიშნა ეროვნული გუნდის თავკაცად, მანაც მოინდომა ახალი სისხლის შეტანა გუნდში, მაგრამ აქედან კარგი არაფერი გამოვიდა.

**გაიოზ დარსაძე** რომ გახდა ნაკრების თავკაცი, ისიც „ახალი სისხლის თეორიას" ქადაგებდა და მანაც ცუდად დაასრულა საქმიანობა ნაკრებში.

ნაკრების გადახალისება ბუნებრივი პროცესია და ეს ხელოვნურად არ უნდა ხდებოდეს. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ იაშვილი ესპანეთთან შეხვედრაში სირბილაძეზე და **ნიკა ძალამიძეზე** უარესად ჩაერთვებოდა თამაშში...

საქართველოს ნაკრებს ძალიან მოუხდა **თორნიკე ოქრიაშვილი.** თუ ვიტყვით, რომ 30 წელს გადაცილებული ფეხბურთელები ოქრიაშვილის ადგილს იკავებდნენ გუნდში და "ბებრების" ნაკრებიდან გაშვება ამის გამო იყო აუცილებელი, მაინც ვერ მივალთ ლოგიკამდე – ხომ შეიძლება, რომ ერთი კონკრეტული მატჩისთვის, მაგალითად, იაშვილი უფრო კარგად იყოს მზად, ვიდრე ოქრიაშვილი ან სხვა რომელიმე ახლგაზრდა შემტევი?

ეროვნული გუნდი საუკეთესოთა კრებული უნდა იყოს და არა საექსპერიმენტო ზაზუნა. თეორიებს კი ყველაზე კარგად შედეგი აწონის – ოქტომბრის მატჩები ხელისგულზე დადებულივით გამოაჩენს, წინა შესარჩევთან შედარებით რა ძვრები მოხდა საქართველოს ნაკრებში.

**დავით თავართქილაძე**





## როდის ჩატარდება კახა კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი?

როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა **კახა კალაძემ** ამას წინათ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ "მილანი" მზად იყო ჩამოსულიყო და 13 სექტემბერს თბილისში მის გამოსამშვიდობებელ შეხვედრაში მიელო მონაწილეობა.

კალაძემ ამის თაობაზე "დინამო არენას" ხელმძღვანელობას წერილობით მიმართა, მაგრამ ასეთივე ფორმით უარი მიიღო, მთელი სექტემბრის განმავლობაში სტადიონი დაკავებულია, ეროვნული ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" თამაშები იმართებაო.

*"არა უშავს, ამ შეხვედრის გამართვა ოქტომბრის შემდეგ მაინც მოგვიწევს"* – განაცხადა მაშინ კალაძემ.

კალაძის სიტყვები ახდა: 1-ლი ოქტომბრის არჩევნებში "ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ გამოსამშვიდობებელ მატჩს წინ ველარაფერი დაუდგება, მაგრამ როდის გაიმართება მატჩი?

ამ საკითხით "ლელო" დაინტერესდა და კალაძის საარჩევნო შტაბში გვითხრეს, რომ ჯერ არაფერია ცნობილი, რადგან საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი საარჩევნო საკითხებით არის დაკავებული, მაგრამ შედეგების გამოცხადებისა და ვითარების დალაგების შემდეგ, შეხვედრის ჩატარება დღის წესრიგში კვლავ დადგება.

საკითხავი ის არის, გადატვირთული კალენდრის გამო, როდის მოახერხებს საქართველოში "მილანი" ჩამოსვლას?

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ახალი მწვრთნელის წარდგენა

# მეტალურგის მიზანი: თამაში ტრადიციის შესაბამისად


რუსთავის მეტალურგის ახალი მთავარი მწვრთნელი გიორგი ყიფიანი

**გუშინ რუსთავში "მეტალურგის" ახალი სამწვრთნელო შტაბი წარადგინეს. როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ "მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი გაათავისუფლეს. რუსთაველთა ახალი თავკაცი გიორგი ყიფიანი იქნება, ხოლო მისი ასისტენტი გიორგი დეკანოსიძეა.**

არც ერთ მათგანს ქართველი გულშემატკივრის წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ყიფიანმა საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო განათლება ისრაელში მიიღო, რის შემდეგაც ნახევარი სეზონი ბოლნისის "სიონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე გაატარა, რასაც "ზესტაფონში" გატარებული სეზონი მოჰყვა. შეგახსენებთ, იმერულ კლუბში იგი **გიორგი ჭიაბრიშვილის** თანაშემწე იყო და "ზესტაფონთან" ერთად საქართველოს ჩემპიონი გახდა.

რაც შეეხება დეკანოსიძეს, ფეხბურთელის კარიერა მან ახლახან დაასრულა, ბოლო დროს კი თბილისის "დინამოს" ბავშვთა აკადემიაში მუშაობდა.

დღეისთვის "მეტალურგი" საქართველოს ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ოთხი გამარჯვებითა და ოთხი მარცხით მეექვსე ადგილზეა და სანამ მაღალ მიზნებს შეეჭიდებოდეს, ჯერ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის ამოცანა აქვს გადასაჭრელი.

"მეტალურგის" ახალი სამწვრთნელო შტაბი მედიას რუსთავის "ფოლადის" სტადიონის საკონფერენციო დარბაზში წარუდგინეს.

**გიორგი საკაძე**, "მეტალურგის" დირექტორი:

- კობა ჟორჟიკაშვილმა ჩვენი კლუბისთვის ბევრი რამ გააკეთა და ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით, მაგრამ ბოლოდროინდელმა წარუმატებელმა ასპარეზობამ გარდაუვალი ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენა. გიორგი ყიფიანსა და გიორგი დეკანოსიძეს სრულ ნდობას ვუცხადებთ და იმედი გვაქვს, რომ ისინი "მეტალურგში" წარმატებულად და ნაყოფიერად იმუშავებენ. ჩვენი მიზანი ევროთასების საგზურის მოპოვებაა და იმედია, ამას შევძლებთ.

**გიორგი ყიფიანი**, "მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი:

- "მეტალურგიდან" შემოთავაზება რამდენიმე დღის წინ მივიღე და კლუბის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტე, რომ ჩემი აქ მუშაობა მიზანშეწონილი იქნება.

ჯერჯერობით, სასაუბრო ბევრი არაფერი მაქვს. ჩემი სამუშაოს შესახებ უფრო ვრცლად ლაპარაკი უახლოეს პერიოდში შემეძლება. ახლა კი იმის თქმა შემიძლია, რომ საკმაოდ საპასუხისმგებლო და საინტერესო საქმე მანდეს და იმედების გასამართლებლად ყველაფერს გავაკეთებ. მოხარული ვარ, რომ "მეტალურგის" ხელმძღვანელობის მხრიდან სრულ ნდობასა და მხარდაჭერას ვგრძნობ.

გარკვეული დრო მჭირდება, რომ გუნდის შიდა სამზარეულოს სათანადოდ გავეცნო და ამის შემდეგ გარკვეულ გადაწყვეტილებებსაც მივიღებთ. ახლა მხოლოდ მეორე ვარჯიშს ვატარებ და ჯერ შორსმიმავალ დასკვნებს ვერ გავაკეთებ.

"მეტალურგი" შესანიშნავი ისტორიისა და ტრადიციის მქონე კლუბია და შესაბამისი ამბიციებიც აქვს. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი სამწვრთნელო შტაბის მუშაობა "მეტალურგის" გულშემატკივართა მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

პრესკონფერენციის შემდეგ "ფოლადზე" მეტალურგის ვარჯიში გაიმართა, რომლის დაწყებამდეც მედიასთან კომენტარი "მეტალურგის" ორმა ფეხბურთელმა გააკეთა.

**ირაკლი მაისურაძე**:

- იმის მიუხედავად, რომ ჩემპიონატი არცთუ მაღალ დონეზე დავიწყეთ, დიდი იმედი გვაქვს, რომ მდგომარეობის გამოსწორებას შევძლებთ. გიორგი ყიფიანის პირველი ვარჯიშები ძალიან მოგვეწონა. იგი უპირატესობას შემტევ და კომბინაციურ ფეხბურთს ანიჭებს, რაც თითოეული ჩვენგანისთვის მისაღებია.

**გიორგი მიქაბერიძე**:

- დიდი იმედი მაქვს, რომ ეს სიახლე შედეგს გამოიღებს და "მეტალურგი" ლამაზ და შედეგიან ფეხბურთს ითამაშებს. ფეხბურთელები მზად ვართ, ახალ სამწვრთნელო შტაბს მაქსიმალურად დავუდგეთ მხარში.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ ყიფიანმა "მეტალურგთან" კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა. მისი წარმატებით მუშაობის შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად გახანგრძლივდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ავტორის ფოტოები


რუსთაველთა ახალი სამწვრთნელო შტაბის პირველი ვარჯიში

● მოსაზრება

# ანკესი და არა თევზი

## რა საფეხბურთო პოლიტიკა სჭირდება ქართულ ფეხბურთს?

**საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა და რადგან ფეხბურთი და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული, ცხადია, სახელისუფლებო ცვლილება სპორტს და ფეხბურთსაც "დომინოს" პრინციპით გადაედება, მაგრამ როგორ?**



ვრცელდება ხმები, რომ შესაძლოა, ფეხბურთის ფედერაციაში პრეზიდენტად **მიხეილ ყაველაშვილი** ვიხილოთ, **კახა კალაძე** კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრად. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ დაუდასტურებელი ხმებია და საერთოდაც, პირველ პირთა შეცვლაზე მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილება და ახალი სისტემის აშენებაა. სახელების შეცვლა და მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი ქართულ სპორტსა და ფეხბურთს ვერ უშველის.

თავდაპირველად, ყოფილი ხელისუფლება სპორტისთვის შეღავათების დაწესებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, სახელმწიფო სტრუქტურებს კი კლუბების დაფინანსებასაც უკრძალავდა. ამის გამო პირველ ლიგაში აღმოჩნდნენ ქართული ფეხბურთის ლიდერები, ქუთაისის "ტორპედო", ბათუმის "დინამო", ფოთის "კოლხეთი", "სამტრედია".

მაგრამ ფეხბურთი ხალხისთვის ბევრს ნიშნავს, პიარის კუთხით, ასეთი მიდგომა წამგებიანი იყო და ამ სფეროსადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა: ყოველწლიურად, სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციას 7 მილიონ ლარს ურიცხავდა, აშენებდა სტადიონებს, აგებდა მინი თუ სტანდარტულ მოედნებს, იგეგმებოდა "ჯვაროსნების" საფეხბურთო სკოლების დაარსებაც.

ბიზნესი სპორტს ერიდებოდა და ამ სისტემის ერთადერთი გამართლება ეს იყო. მაგალითად, უმაღლესი ლიგის 12 გუნდიდან 5-ს სახელმწიფო აფინანსებს: გორის "დილას", ბოლნისის "სიონს", "ზუგდიდს", ფოთის "კოლხეთს", ბათუმის "დინამოს". მათ კერძო მეპატრონე არ გამოუჩნდა და ამ ტრადიციული კლუბების გადასარჩენად სახელმწიფო დოტაცია აუცილებელიც იყო.

მაგრამ 21-ე საუკუნეში უფრო თანამედროვე მიდგომებია. დამშეულს არა "თევზი", არამედ "ანკესი", ანუ კანონმდებლობა სჭირდება, დამოუკიდებლად, უფრო ჯანსაღად და ლაღად რომ იარსებოს. საამისოდ სახელმწიფო ბევრს არაფერს აკეთებდა, მიდგომა კი შესაცვლელია. მაგალითად:

1 - საქართველოში მოედნის საფარი (ბუნებრივი და ხელოვნური) თითქმის არ მზადდება, განბაჟებაში კი საფრის საფასურის ლამის მესამედს იხდიან;

ცხადია, საფრის განბაჟების გადასახადი უნდა შემცირდეს.

2 - მოედნის ერთხელ მორწვა სტადიონის ადმინისტრაციას დაახლოებით 800-900 ლარი უჯდება. ზაფხულში მინდორი რომ არ გაფუჭდეს, დასველება ორჯერ მაინც სჭირდება და ამ უზარმაზარ ხარჯს ვინ აუვიდოდა? შედეგად საფრის მოვლა ამის გამო გაჭირდა.

ცხადია, სტადიონებს წყლის გადასახადი უნდა შეუმცირდეს.

3 – აუცილებელია, რომ საფეხბურთო სკოლების გადასახადები მინიმუმამდე დავიდეს, რათა ფეხბურთზე სიარულის საფასური მკვეთრად დაეცეს და შესაბამისად, ბავშვების რაოდენობა გაიზარდოს. დღეს ეს ციფრი კატასტროფულად, 16 ათასამდე შემცირდა. მწირი არჩევანი კი ნაკლები ნიჭიერის გამოვლენის საფუძველია.

4 – მიწის გადასახადი ერთნაირია რესტორნებისა და სტადიონებისთვის, როდესაც მათი შემოსავლები და ფუნქციონალური დატვირთვა რადიკალურად განსხვავებულია.

ცხადია, სტადიონებისა და სპორტული ობიექტების მიწის გადასახადი ადეკვატური უნდა გახდეს.

5 - მისახედია საკურორტო ბიზნესიც, რომელიც შესაძლოა, შემოსავლის მცირე,. მაგრამ ერთ-ერთი დამატებითი წყარო გახდეს. მაგალითად, დიდი შესაძლებლობები აქვს ურეკს, რომლის უნიკალურობასაც მაგნიტური ქვიშის პლაჟი განაპირობებს და სამკურნალო თვისებებთან ერთად, პოსტტრავმული მდგომარეობიდან სწრაფი რეაბილიტაციისთვისაც სასარგებლოა, რაც სპორტსმენების დიდ დაინტერესებას იწვევს.

ორი წლის წინ, ურეკში ჩამოსული ერევნის "არარატის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი აშოტ კირაკოსიანი იქაურობით აღფრთოვანებას ვერ მალავდა, მაგრამ ისიც აღნიშნა, კარგი მოვლა და მოსამზადებელი ეტაპის სამოთხედ იქცევაო.

არადა, ზღვისპირეთში თანამედროვე სპორტული კომპლექსი თითქმის არ გვაქვს, შემოსავლის წყაროსაც ვიკლებთ და მოსამზადებელ ეტაპზე უცხოურ კლუბებთან სახლში სპარინგის საშუალებასაც. ფეხბურთის ფედერაციის ბალანსზე ზღვისპირეთში თანამედროვე სპორტული კომპლექსის აშენებით, ქართულ კლუბებს მოსამზადებელი ეტაპის ხარჯიც შეუმცირდებათ, ხოლო ფედერაციას შემოსავლის დამატებითი წყარო გაუჩნდება. იგივე ბაკურიანში, კოჯორში, წყნეთში, კიკეთში, ბეშუმში, სადაც ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, ზაფხულში ბევრი გუნდი მოემზადებოდა.

მოთხოვნა კი უდავოდ არსებობს, რადგან ამ ბაზრის ათვისება ვერც ერთმა პოსტსაბჭოურმა ქვეყანამ ვერ მოახერხა: ერთ რომელიმე ქალაქში სასურველი კლიმატი, ინფრასტრუქტურა და ბუნება არ არის. ამ ბაზრის ათვისებაში ჩვენ ხელს შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა გვიშლის. საქართველოს ზღვისპირეთშიც არც ანთალიის მსგავსი კლიმატია, მაგრამ პოსტაბჭოური ბაზრის მეტად ათვისება მაინც შესაძლებელი ჩანს.

ინფრაქტრუქტურის მოსაწყობად თურქებმა სასტუმროებს წყლის გადასახადი მოუხსნეს. თავის მხრივ, სასტუმროების მეპატრონეებმა მოედნები დააგეს, საფეხბურთო სამყაროს მომსახურებით, სეზონი ექვს თვემდე გაახანგრძლივეს და შემოსავლის, დასაქმებისა და განვითარების დამატებით წყაროს მიაგნეს.

ამ პრობლემების მოგვარება სწორედ ის "ანკესი" უნდა გახდეს, რაც ფეხბურთს და საფეხბურთო მომგებიან სფეროდ ჩამოაყალიბებს და მხოლოდ სახელმწიფოს კისერზე მუქთახორასავით არ დააწვება.

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

მეტოქე. ფინეთი



მიქსუ პაატელაინენი

# პაატელაინენის სია

ფინეთის ნაკრების თავკაცმა მიქსუ პაატელაინენმა იმ ფეხბურთელთა სია დაასახელა, საქართველოსთან 12 ოქტომბერს გასამართი მატჩისთვის რომ ჰყავს გამოძახებული.



საქართველოს ნაკრებს ძმები ერიომენკოები შეუტევენ



მეკარეები: ნიკი მაიენპიაა ("ვენლო", ჰოლანდია), ჰენრი სილანაპიაა("ტრომსო", ნორვეგია), ლუკაშ ჰრადეცკი ("ესბიერგი", დანია);

მცველები: ნიკლას მოისანდერი ("აიაქსი", ჰოლანდია), იოონა ტოივიო ("იურგორდენი", შვედეთი), იუჰანი ოიალა( "იანგ ბოიზი", შვეიცარია), მარკუს ჰალსტი ("მალმიო", შვედეთი), კარი არკივოუ ("ჰეკენი", შვედეთი), იუკა რაიტალა ("ჰეერენვენი", ჰოლანდია), იერე ურონენი ("ჰელსინბორგი", შვედეთი), პეტრი პასანენი ("ორჰუსი", დანია), პაულუს არაიური ("კალმარი", შვედეთი);

ნახევარმცველები: კასპერ ჰაიმაილაინენი ("იურგორდენი", შვედეთი), რომან ერიომენკო ("რუბინი", რუსეთი), ტიმ სპარვი ("გრონინგენი", ჰოლანდია), პეროარიმ ჰატემაი ("კიევო", იტალია), დანიელ სიოლუნდი ("იურგორდენი", შვედეთი), ტონი კოლემაინენი ("ჰიონეფოსი", ნორვეგია), ალექსეი ერიომენკო ("რუბინი", რუსეთი), მიკა ვაარინენი (ჰიკ, ფინეთი), მიკა ოიალა ("ინტერი", ფინეთი);

თავდამსხმელები: ტეემუ პუკი ("შალკე", გერმანია), ნიაზი კუქი ("ატრომიტოსი", საბერძნეთი), ალექსანდერ რინგი ("გლადბახი", გერმანია).

დავით თავართქილაძე

ლეგიონერები

# ჯანო ლიგაზე კვლავ არ ჩანს, ჩიხრაძის სერია გრძელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, რუსეთის ჩემპიონატის მატჩი, რომელიც **ჯანო ანანიძემ** მოსკოვის "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა, არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ იგი ჩემპიონთა ლიგაშიც გვეხილა. მეტიც, ჯანო "სპარტაკის" 18-კაციან განაცხადშიც კი არ ყოფილა, მისი გუნდი კი შინ დაძაბულ ბრძოლაში გლაზგოს "სელტიკთან" 2:3 დამარცხდა.

ფინეთის ჩემპიონატში "ინტერ ტურკუ" საკუთარ მოედანზე 1:4 განადგურდა "კუოპიოსთან", მასპინძელთაგან კი პრესტიჟის გოლი **ირაკლი სირბილაძემ** გაიტანა – მან 59-ე წუთზე ანგარიში 1:2 გახადა.

ევროპის ლიგაზე დნეპროპეტროვსკის "დნიპრო" შვედეთში აიკ-ს ესტუმრა, სამწუხაროდ, **ჯაბა კანკავას** გარეშე. იმედია, "დნიპროში" დაბრუნებული საქართველოს ნაკრების კაპიტანი ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას შეძლებს.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში შთამბეჭდავ სერიას განაგრძობს ზაქათალის "სიმურგი", რომელსაც სათავეში **გიორგი ჩიხრაძე** უდგას. "სიმურგმა" შინ "სუმგაითს" 1:0 სძლია და სრულიად მოულოდნელად, აზერბაიჯანულ პრემიერლიგას ერთპიროვნულად ლიდერობს. "სიმურგს" 15 ქულა აქვს, მის უახლოეს მდევარ "ყარაბახს" კი – 13. თანაც, ჩიხრაძის გუნდს "ყარაბახზე" ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

ბაქოს "ინტერმა" დედაქალაქურ დერბიში "რავანს" 2:0 მოუგო. შეხვედრის მე-60 წუთზე შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა **ბაჩანა ცხადაძემ**, რომელმაც ეფექტური გოლი გაიტანა. "ინტერის" ძირითად შემადგენლობაში ცხადაძემ და მეკარე **რევაზ თევდორაძემ** ითამაშეს.

ესტონეთში თავი **ზაქარია ბეგლარიშვილმა** გამოიჩინა. მისმა "ფლორამ" საკუთარ მოედანზე "კურესარე" 2:0 დაამარცხა, ქართველმა ნახევარმცველმა კი მე-20 წუთზე თერთმეტმეტრიანით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ლევან ჯანეზაშვილი



ბაჩანა ცხადაძე



ზაქარია ბეგლარიშვილი

დილა

# ნათან ჟუნიორი: მაისამდე გორელია

**ნათან სოარეს დე კარვალიო ჟუნიორი** ოფიციალურად გახდა გორის "დილას" ფეხბურთელი.

როგორც ცნობილია, ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი და ლატვიის 2011 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი 16 სექტემბრიდან საქართელოში იმყოფებოდა, მაგრამ გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობდა და ელოდებოდა მენეჯერის ჩამოსვლას, რომელსაც ტრანსფერის დეტალები უნდა დაეზუსტებინა.

ჟუნიორის მენჯერი საქართველოში ჩამოვიდა, ყველა პრობლემა მოგვარდა, კონტრაქტის დეტალები დაზუსტდა, თავად ფეხბურთელმა კი სამედიცინო შემოწმება გაიარა და "დილასთან" ხელშეკრულება მაისის ბოლომდე გააფორმა.

24 წლის ჟუნიორი უკვე გუნდთან ერთად ივარჯიშებს და საქართველოს ჩემპიონატშიც ითამაშებს – ის საჩემპიონო განაცხადში შეიყვანეს.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი თავდამსხმელის ბოლო კლუბი ავსტრიის ბუინდესლიგის "კაპფენბერგი" გახლდათ, სადაც სულ ექვსი თვე ითამაშა, ზაფხულში კი კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა.

მერაბ მამულაშვილი



ნათან ჟუნიორი

ფუტსალი

# პორტუგალიის მწვრთნელს საქართველო მოეწონა

როგორც ცნობილია, 30 სექტემბერს სპორტკომპლექს "არენაში" საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ქვეყნის ჩემპიონ "იბერია სტართან" სპარინგ-მატჩი ჩაატარა და 1:4 დამარცხდა.

თბილისში იმყოფებოდა და ამ შეხვედრას ესწრებოდა ფუტსალში პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **ჟორჟე ბრაზი**, რომელმაც ჟურნალ "რეკორდთან" 24-25 ოქტომბერს ქართველებთან ორმატჩიან სპარინგებზე ილაპარაკა და მეტოქეც დაახასიათა:

"მართალია, საქართველოს ნაკრები თავისივე ქვეყნის ჩემპიონთან დამარცხდა, მაგრამ ნაკრებს ექვსი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მათ შორის, ლეგიონერებიც. ეს კი ფუტსალში ძალიან ბევრს ნიშნავს. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრებთან დაძაბული თამაში გვექნება. მათ საკმაოდ აზრიანად ორგანიზებული დაცვა ჰყავთ, ლიდერების დამატებით კი გუნდი სოლიდურ ძალად ჩამოყალიბდება."

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ. ხავიერ ერნანდესი

# თუკი ფეხბურთი გიყვარს...

24 წლის ხავიერ ერნანდესმა "მანჩესტერ იუნაიტედის" ოფიციალურ ვებგვერდს ინტერვიუ მისცა, სადაც გუნდში არსებულ მდგომარეობასა და ახალ კონკურენტებზე ილაპარაკა. მისი თქმით, ის რობინ ვან პერსისგან ბევრი რამის სწავლას აპირებს, ასევე გეგმავს, რომ წარსულში დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეოროს.

**- ბოლო ტურებში რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. ფიქრობთ, რომ მსგავსი რამ მომავალშიც მოხდება?**

- ფეხბურთი სწორედ მოულოდნელობებითაა კარგი. სამწუხაროდ, ეს ჩვენც შეგვეხო. იმედია, "იუნაიტედის" თავს ეს აღარ განმეორდება. პრემიერლიგაში ყველა გუნდი ანგარიშგასაწევია და სწორედ ამიტომ მიმაჩნია ეს ჩემპიონატი საუკეთესოდ. „სასეირნო" თამაშები არ არსებობს, შესაბამისად, ყოველ ჯერზე მოწოდების სიმაღლეზე უნდა ვიყოთ როგორც ფიზიკურად, ისე მენტალურად.

**- შეგრძნება, რომ ჩემპიონატი დაწყებულია, მხოლოდ პირველი საშინაო შეხვედრის შემდეგ მოდის. ასეა?**

- რა თქმა უნდა. ამიტომაც იყო, რომ პირველი ტურის შემდეგ იმედგაცრუებულები დავრჩით. თუმცა წინა ტურში დაშვებული შეცდომების გამოსწორების შანსი შემდგომში გვეძლევა და ეს მშვენიერია.

**- ახალწვეულების მუშაობა რამდენად მოგწონთ?**

- ორი წლის წინ პირადად ვიყავი მათ ადგილას. ახალმა ფეხბურთელებმა იოლად გაიარეს ადაპტაცია და ვარჯიშებზე თავდაუზოგავად შრომობენ. თუკი ფერგიუსონს გუნდში ვინმე მოჰყავს, ესე იგი ის ამას იმსახურებს და შეუძლია, ჩვენ წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაში დაგვეხმაროს.

**- ალბათ გიხარიათ, რომ ვან პერსი თქვენი თანაგუნდელია. მისგან ხომ ბევრის სწავლა შეიძლება.**

- ზუსტად ბრძანეთ. სწავლა ყოველთვის შეიძლება იმის მიუხედავად, თუ რამდენი წლის ხარ. მე ყველასგან რაღაცას ვითვისებ გუნდში, მაგრამ განსაკუთრებით თავდამსხმელებს ვაკვირდები. რობინი მსოფლიო დონის ფეხბურთელია და მისგან ძალიან ბევრი რამის სწავლის შანსი მაქვს.

**- ვან პერსი იმ ფეხბურთელთა რიცხვში თუ შედის, ვისითაც აღფრთოვანებული ხართ?**

- რა თქმა უნდა. თუკი ფეხბურთი გიყვარს, ვფიქრობ, რომ ვან პერსისა და რუნის პატივს უნდა სცემდე და მათ თამაშს აკვირდებოდე იმის მიუხედავად, ხარ თუ არა "იუნაიტედის" ფანი. რობინმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა "არსენალისთვის" [illegible], რომ ჩვენთვისაც არანაკლები გაილოს.

**- მისმა მოსვლამ გუნდში ახალი გამოწვევის წინაშე დაგაყენათ.**

- ჰო, მაგრამ რაკი "იუნაიტედი" რამდენიმე ტურნირში ერთად გამოდის, თავის გამოჩენის შესაძლებლობა ყველას მიეცემა. კონკურენციის გამო ძირითადისთვის ჭიდილი ჩვეულებრივი მოვლენაა. მე მას ჯერ კიდევ ახალგაზრდული გუნდებიდან ვარ შეჩვეული. "იუნაიტედს" ნამდვილად სჭირდება ბევრი, კარგი ფეხბურთელი.

**- ფერგიუსონმა უკვე დაამტკიცა, რომ თუკი ფეხბურთელი კარგ ფორმაშია, ის აუცილებლად ითამაშებს.**

- ყველაფერს მწვრთნელი წყვეტს. მე მხოლოდ იმაზე მიწევს ზრუნვა, რომ ყოველ ვარჯიშსა და თამაშზე ვაჩვენო ის, რაც შემიძლია და დავეხმარო გუნდს ამოცანების გადაჭრაში.

**- რა დასკვნა გამოიტანეთ შარშანდელი წარუმატებელი სეზონისგან? თქვენ ხომ საშინაო მატჩებში დაკარგულმა ქულებმა დაგღუპათ.**

- რა საკვირველია, ყველაფრის გამოსწორებას ვაპირებთ. წინა წლის შეცდომებს ნამდვილად აღარ გავიმეორებთ.

**- დაბოლოს, ძალიან ბედნიერი იქნებით იმით, რომ მექსიკის ნაკრებმა ლონდონის ოლიმპიადაზე ოქროს მედლები მოიპოვა.**

- მშვენიერი იყო. ეს უზარმაზარი მიღწევა იყო ჩვენი ქვეყნისთვის. მექსიკამ ერთადერთი ოქრო მოიგო ლონდონში და ეს ფეხბურთელებმა გააკეთეს. ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჯერ ფინალამდე გავაღწევდით და მერე იქ ბრაზილიას დავამარცხებდით. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეუძლებელი არაფერია.



ხავიერ ერნანდესი იუნაიტედში ყველასგან რაღაცას სწავლობს

ლივერპული

# რომ არა შეიხები...


სტივენ ჯერარდი წარუმატებლობების მიზეზებს სხვებში ეძებს

"ლივერპულის" კაპიტან **სტივენ ჯერარდის** თქმით, "ჩელსისა" და "მანჩესტერ სიტის" მილიარდერი მესაკუთრეები რომ არა, ის დიდი ხნის წინ მიაღწევდა სანუკვარ მიზანს და პრემიერლიგას რამდენჯერმე მაინც მოიგებდა. სტივის ანგარიშზე უამრავი ტიტულია – ასოციაციის თასი (2001, 2006), საფეხბურთო ლიგის თასი (2001, 2003, 2012), ინგლისის სუპერთასი იგივე ქომუნითი შილდი (2001, 2006), ჩემპიონთა ლიგა (2005), უეფას თასი (2001), ევროპის სუპერთასი (2001, 2005), მაგრამ ყველაზე სასურველ ჯილდოს ერთი ხელის განვდენაზეც კი არასოდეს მიახლოებია. *"სიტისა" და "ჩელსის" სიმდიდრის გამო გულის ხეთქვა არასწორი იქნებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არა რომან აბრამოვიჩი და შეიხი მანსური ინგლისის ჩემპიონატს "ლივერპული" 2-3-ჯერ მაინც მოიგებდა. ის ბიზნესმენები, რომლებიც საფეხბურთო კლუბებს ყიდულობენ, ლიგის სხვა წარმომადგენლებზეც უზარმაზარ გავლენას ახდენენ. სწორედ ეს მოხდა პრემიერლიგაში. ჩვენ ფინანსების კუთხით სხვებს ვერ შევეჯიბრებით, მაგრამ შევეცდებით, რომ აქცენტი კონკრეტული მიზნისკენ მივმართოთ და საჭირო გზას არ გადავუხვიოთ,"* - აცხადებს ჯერარდი.

## დაუნინგი რჩება

"ლივერპულის" 28 წლის განაპირა ნახევარმცველმა **სტიუარტ დაუნინგმა** "ენფილდს" 2011 წლის ზაფხულზე 20 მილიონი ფუნტის საფასურად მიაშურა. ფეხბურთელს სადებიუტო სეზონი დიდ კლუბში ჩაუვარდა. მან ვერ მოახერხა იმ დონის ფეხბურთის ჩვენება, რასაც იქამდე "ასტონ ვილაში" ან "მიდლსბროში" უჩვენებდა. **ბრენდან როჯერსმა** ორიოდე კვირის წინ უცნაური რამ თქვა, სტიუარტი უნივერსალია და თამაში დაცვაშიც შეუძლიაო, მაგრამ მას მერე ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში არ გამოჩენილა. მწვრთნელი მის მაგივრად სასტარტოში **რაჰიმ სტერლინგს** ათამაშებს. 17 წლის ფეხბურთელი ჯერჯერობით იმედებს ამართლებს. როჯერსის თქმით, სტიუარტს ადგილს ძირითადში მხოლოდ უმძიმესი შრომა თუ დაუბრუნებს. *"მას ძლიერი მარცხენა ფეხი და კაშკაშა ნიჭი აქვს, მაგრამ "ენფილდზე" სათამაშოდ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. მან უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ნიჭის გარდა კიდევ სხვა ისეთი თვისებებიც აქვს, რასაც მისგან ვითხოვთ,"* – განაცხადა როჯერსმა.

ყოველივეს მიუხედავად, დაუნინგი ფიქრობს, რომ "ლივერპულთან" ახალ კონტრაქტს იმსახურებს. *"მწვრთნელის სიტყვები გულზე მომხვდა, რადგან აშკარაა, რომ ის მინდორზე ჩემს ადგილს ვერ ხედავს, მაგრამ სიტუაციის გამოსასწორებლად ყოველ დღე ვიბრძვი. ჩემთვის ეს სიტუაცია ახალი არ არის. როცა კი თამაშის შანსი მომეცემა, ყველაფერი უნდა გავილო. აუცილებლად დავბრუნდები ძირითადში და დავამტკიცებ, რომ მწვრთნელი ცდება ჩემი შეფასებისას. "ლივერპული" იმდენად მიყვარს, რომ ველარც კი წარმომიდგენია, სხვისი მაისურით მოედანზე გამოსვლა. მე ძალიან მინდა აქ დარჩენა,"* – განაცხადა დაუნინგმა.

ინგლისის ნაკრები

# ინგლისი დებიუტანტებით

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა** სან მარინოსთან და პოლონეთთან შეხვედრებისთვის 25 ფეხბურთელი გამოიძახა. მათ შორის არიან დებიუტანტები – **ფრეიზერ ფორსტერი** (სელტიკი) და **რაიან შოუკროსი** (სტოკ სიტი). ალბათ იცით, რომ სანაკრებო კარიერა დაასრულა **ჯონ ტერიმ**. ამის მიუხედავად, გუნდის თავკაცმა **რიო ფერდინანდს** მაინც უგანა. მაშ ასე, ინგლისის სრული საბრძოლო განაცხადი ასე გამოიყურება:

**მეკარეები** – ჯო ჰარტი (მანჩესტერ სიტი), ჯონ რადი (ნორვიჩი), ფრეიზერ ფორსტერი (სელტიკი);

**მცველები** – ლეიტონ ბეინსი, ფილ იაგიელკა (ორივე ევერტონი), გარი კეჰილი, ეშლი კოული (ორივე ჩელსი), კირან გიბსი (არსენალი), ჯოლეონ ლესკოტი (მანჩესტერ სიტი), გლენ ჯონსონი (ლივერპული), კაილ უოლკერი (ტოტენჰემი), რაიან შოუკროსი (სტოკ სიტი);

**ნახევარმცველები** – მაიკლ კერიკი, ტომ კლევერლი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), აარონ ლენონი (ტოტენჰემი), ადამ ჯონსონი (სანდერლენდი), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), ჯეიმს მილნერი (მანჩესტერ სიტი), ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, თეო უოლკოტი (ორივე არსენალი);

**თავდამსხმელები** - ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი), ენდი კეროლი (ვესტ ჰემი), უეინ რუნი, დენი უელბეკი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი)


როი ჰოჯსონი

ამბები

## რედნაპი ნიუ იორკს უახლოვდება



"ტოტენჰემის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** სამუშაოდ შეიძლება ნიუ იორკის "რედ ბულსში" მიიწვიონ. 65 წლის სპეციალისტი "დეზებმა" მას შემდეგ დაითხოვეს თანამდებობიდან, რაც მას გუნდის აღმასრულებელ დირექტორ **დენიელ ლევისთან** უსიამოვნება შეემთხვა. კლუბმა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას მწვრთნელთან ხელშეკრულების გაწყვეტის სანაცვლოდ 10 მილიონი ფუნტი მოსთხოვა ისე, რომ მისთვის არაფერი უცნობებია. რედნაპს ეროვნულ გუნდში მუშაობა ძალიან უნდოდა. ის ლევიზე ნაწყენი დარჩა. „დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალიო', ხომ იცით, ჰოდა, რედნაპი უმუშევარი დარჩა. ბოლო რამდენიმე თვეა, "ეშმაკი ჰარი" BBC-ის საფეხბურთო ექსპერტად მუშაობით იქცევს თავს და სამწვრთნელო ასპარეზზე დაბრუნებაზე ოცნებობს.

## სულშერი უარყოფს

"მიოლდეს" 39 წლის მთავარი მწვრთნელი **ულე გუნარ სულშერი** უარყოფს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ "ბლექბერნისგან" შეთავაზება მიიღო და მზადაა, სამუშაოდ ინგლისში გადავიდეს. მისი თქმით, ეს ყველაფერი მხოლოდ ჭორებია და ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის ამოწურვამდე ის სამშობლოდან ფეხის მოცვლასაც არ აპირებს. *"ბლექბერნსა" და ჩემზე რაც დაიწერა მხოლოდ ხმებია და მეტი არაფერი. ინგლისიდან ჩემთვის სამსახური არავის შემოუთავაზებია და მით უფრო მოლაპარაკება არავისთან დამიწყია. თუკი ვინმესგან შემოთავაზებას მივიღებ, პირველ რიგში ამას "მიოლდეს" ხელმძღვანელობა შეიტყობს,"* – განაცხადა ახალგაზრდა მწვრთნელმა.

## ინსი იაფად არ გამოვა

20 წლის **ტომას ინსმა** მარტო "მანჩესტერ იუნაიტედის" კი არა, ნახევარი პრემიერლიგის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ ხმამაღლა ფეხბურთელისადმი ინტერესზე მხოლოდ "ეშმაკები" ალაპარაკდნენ. **ალექს ფერგიუსონს** იმის იმედი ჰქონდა, რომ რაკი ინსის ხელშეკრულებას ვადა სეზონის ბოლოს გასდის, იანვარში მას მაქსიმალურად იაფად ჩაიგდებდა ხელთ, მაგრამ "ბლექპულის" მთავარი მწვრთნელის **იან ჰოლოვეის** თქმით, ასე საქმე არ გამოვა... *"ჩვენთან ყველა ნიჭიერი ფეხბურთელის შენარჩუნება ვერ მოხერხდება. ფეხბურთელებს სწორედ იმისთვის ვზრდით, რომ ისინი მერე სწორედ "იუნაიტედისა" და "არსენალის" დონის გუნდებში გავყიდოთ, მაგრამ ამ ეტაპზე ნამდვილად არ გვინდა, ჩვენი ტალანტების გასხვისება. თუკი ისინი მაინც დაიჟინებენ, მაშინ ისიც გაითვალისწინონ, რომ მათ სანაცვლოდ ღირსეულ კომპენსაციას მოვითხოვთ,"* – აცხადებს ჰოლოვეი. ინგლისური პრესის ცნობით, ის "ღირსეულ კომპენსაციაში" მინიმუმ 6 მილიონ ფუნტს გულისხმობს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთის ნაკრები




დეშამმა ნაკრებში ლასანა დიარა დააბრუნა

# დეშამმა ნასრი არ გამოიძახა

**დიდიე დეშამმა** ის 23 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც 12 ოქტომბერს იაპონიასთან ამხანაგური შეხვედრისთვის, ხოლო 16 ოქტომბერს ესპანეთის ნაკრებთან გასამართი შესარჩევი ეტაპის მატჩისთვის მოემზადებიან. ნაკრებში დაბრუნდნენ **ლასანა დიარა** და **მუსა სისოკო**, ისინი ბასკმა ტრავმირებული **რიო მავუბას** და **აბუ დიაბის** ნაცვლად გამოიძახა. ასევე არ არის ნაკრებში **სამირ ნასრი**, რომელმაც 3-თამაშიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. ნასრის არგამოძახებაზე დეშამმა შემდეგი რამ თქვა: *"სამირი შესანიშნავი ფეხბურთელია და ის ნაკრების მოთამაშედ რჩება, უბრალოდ ვიფიქრე, რომ მისი გამოძახებისთვის ახლა საუკეთესო დრო არ იყო. მან სეზონი ძალიან კარგად დაიწყო და იმედია, რომ ასეც გააგრძელებს".*

ასევე ეროვნულ გუნდში ვერ ვხედავთ **იან მვილას**, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებში არის გამოძახებული. *"იანზეც ზუსტად იგივე შემიძლია ვთქვა – ის ნაკრების კანდიდატია, უბრალოდ ამ სიტუაციაში გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ის ახალგაზრდულ ნაკრებს დაეხმარებოდა, რომელსაც ნორვეგიასთან ძალიან მნიშვნელოვანი მატჩები ელის"*- განაცხადა დეშამმა "რენის" ნახევარმცველის შესახებ.

საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ნორვეგიასთან ორმატჩიანი დუელი ელის, რომლის გამარჯვებულიც ევრო 2013-ის საგზურს მოიპოვებს.

საფრანგეთის ეროვნული გუნდის სრული სია კი ასეთია:

**მეკარეები**: მიკელ ლანდრო (ლილი), უგო ლორისი (ტოტენჰემი), სტივ მანდანდა (მარსელი).

**მცველები**: გაელ კლიში (მანჩესტერ სიტი), მატიო დებუში (ლილი), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი), კრისტოფ ჟალე (პსჟ), ლორან კოშიელნი (არსენალი), ადილ რამი (ვალენსია), მამადუ სახო (პსჟ), მაპუ იანგა-მბივა (მონპელიე).

**ნახევარმცველები**: იოან კაბაი (ნიუკასლი), ეტიენ კაპუ (ტულუზი), ლასანა დიარა (ანჟი), მაქსიმ გონალონი (ლიონი), ბლეზ მატუიდი (პსჟ), მუსა სისოკო (ტულუზი), მატიო ვალბუენა (მარსელი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი), ჟერემი მენეზი (პსჟ).

**თავდამსხმელები**: ქარიმ ბენზემა (რეალი), ოლივიე ჟირუ (არსენალი), ბაფეტიმბი გომისი (ლიონი).

**ტატო ბაციკაძე**

## ეს საინტერესოა

# რემსის წყევლა



აარონ რემსი ოლიმპიაკოსის კარში გატანილ გოლს აღნიშნავს

ოთხშაბათს **აარონ რემსიმ** გოლი გაიტანა და შავი იუმორის მოყვარულებს მორიგი ხუმრობების მოფიქრების საშუალება მიეცათ. თუ ინტერნეტთან მეგობრობთ და განსაკუთრებით "ფეისბუქის" ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გვერდ "ტროლ ფუტბოლს" თვალს აქტიურად ადევნებთ, გეცოდინებათ რაშიც არის საქმე. თუ არ იცით, ახლავე მოგახსენებთ: აარონ რემსის "არსენალის" რიგებში, გუნდში დაბრუნების შემდეგ (2010/11 წლების სეზონიდან) სულ 4 გოლი ჰქონდა გატანილი – 3 ჩემპიონატში და 1 ჩემპიონთა ლიგაში. ყველა ამ გოლის შემდეგ, მეორე დღეს ან უკიდურეს შემთხვევაში რამდენიმე დღის შემდეგ, მსოფლიო რომელიმე ცნობილი პიროვნების გარდაცვალების შესახებ იგებდა.

თავად გადახედეთ:

**2011 წლის 1 მაისი**: რემსის გააქვს გოლი "მანჩესტერ იუნაიტედის" კარში – მეორე დღეს ამერიკელებმა მსოფლიოს **ოსამა ბინ ლადენის** გარდაცვალების შესახებ აცნობეს.

**2011 წლის 2 ოქტომბერი**: "ტოტენჰემი"-"არსენალის" მატჩში უელსელმა თავი 51-ე წუთზე გამოიჩინა – 3 დღეში კომპანია "Apple"-ის ერთ-ერთი დამაარსებელი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბიზნესმენი, **სტივ ჯობსი** გარდაიცვალა.

**2011 წლის 19 ოქტომბერი**: რემსიმ ამჯერად თავი ჩემპიონთა ლიგაში გამოიჩინა და გოლი "მარსელს" გაუტანა – მეორე დღეს ლიბანში აჯანყებულებმა ქვეყნის ყოფილი დიქტატორი **მუამარ კადაფი** მოკლეს.

**2012 წლის 11 თებერვალი**: "სანდერლენდთან" დაძაბულ შეხვედრაში "არსენალმა" ანგარიში 75-ე წუთზე აარონ რემსის გოლის წყალობით გაათანაბრა – მოგვიანებით, იმავე დღეს, მსოფლიომ **უიტნი ჰიუსტონის** გარდაცვალების შესახებ შეიტყო.

**2012 წლის 3 ოქტომბერი**: ჩემპიონთა ლიგის მატჩში "ოლიმპიაკოსის" წინააღმდეგ, რემსიმ 94-ე წუთზე გაიტანა და საბოლოოდ შედეგი დააფიქსირა – ამბობენ, რომ სირიის პრეზიდენტ **ბაშარ ალ ასადს** არ აქვს საქმე მაინცდამაინც კარგად...

**ტატო ბაციკაძე**

## ბელგიის ნაკრები

# ბელგიას ყველა ვარსკვლავი მწყობრში ჰყავს

ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ნაკრებს ოქტომბერში ორი რთული მატჩი ელის. ბელგიელები 12 ოქტომბერს ბელგრადში სერბეთის ეროვნულ გუნდს შეხვდებიან, 16 ოქტომბერს კი შოტლანდიას უმასპინძლებენ. ბენილუქსელთა მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ვილმოტსმა** შეკრებაზე 24 ფეხბურთელს უხმო. აი ისინიც:

**მეკარეები**: ტიბო კურტუა (ატლეტიკო), სიმონ მინოლე (სანდერლენდი), ჟან-ფრანსუა ჟილე (ტორინო).

**მცველები**: ტობი ალდერვეირელდი (არაქსი), ლორან სიმანი (სტანდარდი), გიომ ჟილე (ანდერლეხტი), ვენსან კომპანი (მანჩესტერ სიტი), ნიკოლას ლომბერტსი (ზენიტი), დანიელ ვან ბუიტენი (ბაიერნი), ტომას ვერმაელენი (არსენალი), იან ვერტონგენი (ტოტენჰემი).

**ნახევარმცველები**: ნასერ შადლი (ტვენტე), სტივენ დეფური (პორტუ), მუსა დემბელე (ტოტენჰემი), მარუან ფელაინი (ევერტონი), ტიმი სიმონსი (ნიურნბერგი), აქსელ ვიტსელი (ზენიტი), კევინ დე ბრუინი (ვერდერი), ედენ აზარი (ჩელსი).

**თავდამსხმელები**: კრისტიან ბენტეკე (ასტონ ვილა), რომელუ ლუკაკუ (ვესტ ბრომვიჩი), დრის მერტენსი (პსვ ეინდჰოვენი), კევინ მირალიასი (ევერტონი), იელე ვოსენი (გენკი).

**ტატო ბაციკაძე**



ვერმაელენი, აზარი და ვიტსელი რთული მატჩებისთვის ემზადებიან

## ევროპალიგა

### A ჯგუფი

**ანჟი-იანგ ბოიზი 2:0**

გოლები: 1:0 ეტოო (62-პენ), 2:0 ეტოო (90)

**ლივერპული-უდინეზე 2:3**

გოლები: 1:0 შელვი (23), 1:1 დი ნატალე (46), 1:2 კოატესი (70 ს.კ.), 1:3 პასკუალე (72), 2:3 სუარესი (75)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანჟი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. უდინეზე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. ლივერპული | 2 | 1 | 0 | 1 | 7-6 | 3 |
| 4. იანგ ბოიზი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-7 | 0 |

### B ჯგუფი

**ატლეტიკო-პლზენი 1:0**

გოლი: 1:0 კ. როდრიგესი (92)

**აკადემიკა-ჰაპოელი 1:1**

გოლები: 1:0 ს. სისე (47), 1:1 დამარი (91)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. პლზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. აკადემიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 4. ჰაპოელი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

### C ჯგუფი

**მარსელი-აელ 5:1**

გოლები: 0:1 უონი (22), 1:1 ფანი (42), 2:1 მენდესი (61), 3:1 რემი (76), 4:1 ჟინიაკი (90), 5:1 რემი (92)

**გლადბახი-ფენერბაჰჩე 2:4**

გოლები: 1:0 დე იონგი (18), 1:1 ბარონი (25), 1:2 მეირელეში (40), 1:3 კიუიტი (71), 2:3 დე კამარგო (74), 2:4 ბარონი (87)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-3 | 4 |
| 2. ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 1 | 0 | 6-4 | 4 |
| 3. გლადბახი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 4. აელ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |

### G ჯგუფი

**ბაზელი-გენკი 2:2**

გოლები: 0:1 დე კუელიარი (10), 0:2 ვოსენი (38), 1:2 შტრელერი (71-პენ), 2:2 შტრელერი (84)

**ვიდეოტონი-სპორტინგი 3:0**

გოლები: 1:0 ვინისიუსი (15), 2:0 ფ. ოლივეირა (21), 3:0 ნიკოლიჩი (35)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 2. ვიდეოტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. ბაზელი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. სპორტინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |

### H ჯგუფი

**რუბინი-პარტიზანი 2:0**

გოლები: 1:0 კარადენიზი (44), 2:0 რიაზანცევი (48)

**ნეფთჩი-ინტერი 1:3**

გოლები: 0:1 კოუტინიო (10), 0:2 ობი (30), 0:3 ლივაია (42), 1:3 კანალესი (53)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 2. რუბინი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. ნეფთჩი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 4. პარტიზანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

### I ჯგუფი

**კირიათ შმონა-ლიონი 3:4**

გოლები: 1:0 აბიჰაზირა (7), 1:1 ფოფანა (16), 1:2 მონზონი (22), 1:3 რევეიერი (31), 2:3 ლევი (51), 3:3 აბიჰაზირა (66-პენ), 3:4 ფოფანა (91)

**სპარტა-ბილბაო 3:1**

გოლები: 1:0 ზაპოტოჩნი (25), 2:0 ბალაი (41), 3:0 ჰუსბაუერი (56-პენ), 3:1 დე მარკოსი (73)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-4 | 6 |
| 2. სპარტა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 3. შმონა | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 | 1 |
| 4. ბილბაო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |



ანჟი-იანგ ბოიზი

### D ჯგუფი

**ბრიუგე-მარიტიმუ 2:0**

გოლები: 1:0 ბაკა (57), 2:0 ფლემინქსი (71)

**ნიუკასლი-ბორდო 3:0**

გოლები: 1:0 ამეობი (16), 2:0 ენრიკე (40 ს.კ.), 3:0 პ. სისე (49)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 2. ბორდო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 3. ბრიუგე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 4. მარიტიმუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

### E ჯგუფი

**მიოლდე-შტუტგარტი 2:0**

გოლები: 1:0 ბერგეტი (58), 2:0 ჩიმა ჩუკვუ (88)

**სტიაუა-კოპენჰაგენი 1:0**

გოლი: 1:0 ნიკოლიჩი (82)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტიაუა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. მიოლდე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. კოპენჰაგენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. შტუტგარტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |

### F ჯგუფი

**აიკ-დნიპრო 2:3**

გოლები: 1:0 დანიელსონი (5), 1:1 კალინიჩი (41), 2:1 გოიტომი (45), 2:2 მანძიუკი (74), 2:3 სელეზნიოვი (83)

**პსვ-ნაპოლი 3:0**

გოლები: 1:0 ლენსი (19), 2:0 მარტენსი (41), 3:0 მარსელო (52)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დნიპრო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 3. პსვ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 4. აიკ | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

### J ჯგუფი

**ლაციო-მარიბორი 1:0**

გოლი: 1:0 ედერსონი (62)
გაძევება: ვიდოვიჩი (77. მარიბორი)

**პანათინაიკოსი-ტოტენჰემი 1:1**

გოლები: 0:1 დოუსონი (35), 1:1 ტოჩე (77)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 2. მარიბორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 3. ტოტენჰემი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. პანათინაიკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

### K ჯგუფი

**მეტალისტი-რაპიდი 2:0**

გოლები: 1:0 ედმარი (66), 2:0 შავიერი (80)
გაძევება: ბურგშტალერი (92. რაპიდი)

**როსენბორგი-ლევერკუზენი 0:1**

გოლი: 0:1 კისლინგი (76)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალისტი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 2. ლევერკუზენი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. როსენბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. რაპიდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

### L ჯგუფი

**ჰანოვერი-ლევანტე 2:1**

გოლები: 0:1 მიჩელი (10-პენ), 1:1 ჰუშტი (21-პენ), 2:1 ია კონანი (49)
გაძევება: ჰაგი (9. ჰანოვერი)

**ჰელსინგბორგი-ტვენტე 2:2**

გოლები: 1:0 ჯურჯიჩი (7), 2:0 ჯურჯიჩი (44), 2:1 ბენგტსონი (74), 2:2 დუგლასი (88)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰანოვერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 2. ლევანტე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. ტვენტე | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 4. ჰელსინგბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ბოლო წუთების დრამა

## აბიატი და ჰარტი დაფრინავდნენ

**ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის, მეორე სათამაშო დღე ძალიან საინტერესო და დრამატული გამოდგა. "პარი სენ-ჟერმენმა" სეზონში პირველი მარცხი განიცადა, "მალაგამ" ისევ გაგვაოცა, ხოლო კრისტიან აბიატიმ და ჯო ჰარტმა საოცარი შეხვედრები ჩაატარეს; ამ უკანასკნელის წყალობით, მანჩესტერში ამ სეზონის ყველაზე ალოგიკური შედეგი დაფიქსირდა...**

### A ჯგუფი

**პორტუ–პსჟ 1:0**

**გოლი:** ჯეიმს როდრიგესი (83).
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჯეიმს როდრიგესი (პორტუ).

A ჯგუფის ცენტრალური მატჩი პორტუში, "დრაგაოზე" გაიმართა. ერთმანეთის წინაშე ორი იუბილარი, **ჯექსონ მარტინესი** (26 წლის გახდა) და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (31 წლის) წარდგნენ და დაბადების დღეზე გატანა ორივეს შეეძლო. ზლატანს შესანიშნავი შანსი მიეცა, მაგრამ შვედმა, ნაცვლად იმისა, რომ ბურთი გაეჩერებინა და შეტევა მარტივად დაესრულებინა, "იბრაკადაბრობა" გადაწყვიტა და ბურთი კარისკენ საოცარი დარტყმით გაუშვა, თუმცა მისდა საუბედუროდ **ელტონი** არ დაიბნა და საკუთარი გუნდის გადარჩენა შეძლო. როგორც გითხარით, გატანა მარტინესსაც შეეძლო, მაგრამ კოლუმბიელს არ უმართლებდა.

შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათი გამარჯვება ლოგიკური იყო. მატჩის 83-ე წუთზე მარცხენა ფლანგზე **ჟოაო მოუტინიომ** ითამაშა შესანიშნავად და საჯარიმოში ჩააწოდა, **ფერნანდო** ბურთს ნორმალურად ვერ შეწვდა, სამაგიეროდ საგოლე პასი გამოუვიდა – მარჯვენა ფლანგზე მარტო დატოვებულმა **ჯეიმს როდრიგესმა** ბურთი შორეული კუთხისკენ აჭრა და გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

"პორტუმ" უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო და ზედიზედ მეორე გამარჯვების წყალობით ჯგუფში ერთპიროვნულად გალიდერდა.

**ჯეიმს როდრიგესი (პორტუ):** "ჩვენ ვიცოდით, რომ მათ ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავთ, მაგრამ დღეს აშკარად უკეთესი გუნდი ვიყავით და გამარჯვება დავიმსახურეთ. ვიცით, რომ კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ შორს მიმავალი გეგმები არ უნდა დავსახოთ და მხოლოდ მომავალ მატჩზე ვიფიქროთ".

**კარლო ანჩელოტი (პსჟ):** *"ეს ჩვენი პირველი მარცხია ამ სეზონში და რა თქმა უნდა, იმედგაცრუებულნი ვართ, თუმცა ნაგება მოულოდნელი არ იყო, რადგან მეტოქე ჩვენზე ბევრად გამოცდილია".*

**დინამო (კ)–დინამო (ზ) 2:0**

**გოლები:** 1:0 გუსევი (3), 2:0 პივარიჩი (33-საკ. კარში)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ოლეგ გუსევი (დინამო კიევი)

კიევში ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში "დინამოების" პირველი დერბი შედგა და როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. ამ მატჩში ჩემპიონთა ლიგაში **ოლეგ ბლოხინის** სამწვრთნელო დებიუტი შედგა; მოგეხსენებათ, უკრაინის ნაკრების დამრიგებელმა კიეველთა მწვრთნელის პოსტზე **იური სიომინი** შეცვალა.

ანგარიში მასპინძლებმა მესამე წუთზე გახსნეს, თავი უკრაინელთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა **ოლეგ გუსევმა** გამოიჩინა. ამის შემდეგ კიეველები აგრძელებდნენ შეტევებს და მეორე გოლიც პირველივე ტაიმში გაიტანეს. 33-ე წუთზე **ტაივოს** ჩაწოდებამ ზაგრებელთა საჯარიმოში არეულობა გამოიწვია, ბურთი საბოლოოდ სტუმართა მარცხენა მცველ **იოსიპ პივარიჩს** მოხვდა და კარში გავიდა.

კიევის "დინამომ" ჯგუფურ ეტაპზე 4 ნაგების შემდეგ შეძლო გამარჯვების მოპოვება, აი, ზაგრებელებისთვის კი ეს უკვე ზედიზედ მე-8 მარცხი იყო ჩემპიონთა ლიგაში.

**ოლეგ ბლოხინი (კიევის "დინამოს" მწვრთნელი):** *"გაცილებით დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, ვინაიდან ხელიდან ბევრი საგოლე შანსი გავუშვით, მეტოქეს კი საერთოდ არაფერი შევაქმნევინეთ".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. პსჟ | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 3. დინამო (კ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 4. დინამო (ზ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

### B ჯგუფი

**არსენალი–ოლიმპიაკოსი 3:1**

**გოლები:** 1:0 ჟერვინიო (42), 1:1 მიტროგლუ (45), 2:1 პოდოლსკი (56), 3:1 რემსი (90+4)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჟერვინიო (არსენალი)

ლონდონის "არსენალმა" სეზონი კარგად დაიწყო და "ოლიმპიაკოსთანაც" ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა პირველ ტაიმში ბერძნები უკეთ გამოიყურებოდნენ, მართალია ბურთის ფლობის მხრივ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, სამაგიეროდ სახიფათო მომენტებს სტუმრები ქმნიდნენ. ყველაზე რეალური შანსი "ოლიმპიაკოსმა" პირველი ტაიმის შუაში შექმნა, როდესაც **იანის მანიატისმა** 5 მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა. ბერძნები ამის გამო დაისაჯნენ და 42-ე წუთზე **ჟერვინიომ** მასპინძლები დააწინაურა, თუმცა "ოლიმპიაკოსმა" შეძლო და ანგარიში პირველივე ტაიმში გაათანაბრა. მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე საჯარიმოში **ლეანდრო გრეკომ** ჩააწოდა, **კოსტას მიტროგლუმ** კი თავური დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა – "არსენალმა" მატჩის სადავეები ხელში ჩაიგდო და უპირატესობა აღარ გაუშვია. 56-ე წუთზე ჟერვინიოს გადაცემით **ლუკას პოდოლსკიმ** გაიტანა, ხოლო არბიტრის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე თავი **აარონ რემსიმაც** გამოიჩინა. ამ უკანასკნელის გოლი ცუდი ამბავი უნდა იყოს ცნობილი ადამიანებისთვის, თუ რატომ, ამის შესახებ შეგიძლიათ სხვა სტატიაში წაიკითხოთ.

საბოლოოდ **არსენ ვენგერის** გუნდმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ახლა ლონდონელებს გელზენკირხენის "შალკესთან" ორი ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ელით.

**ტომას ვერმაელენი (არსენალი):** *"პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მეორე ნახევარში მდგომარეობა გამოვასწორეთ, ბურთსაც ვუფრთხილდებოდით და ბევრი საგოლე მომენტიც შევქმენით. ჟერვინიო შესანიშნავად თამაშობს და ბევრი გოლიც გააქვს, ის დიდი ძალაა ჩვენი გუნდისთვის".*

**შალკე–მონპელიე 2:2**

**გოლები:** 0:1 აიტ-ფანა (13), 1:1 დრაქსლერი (26), 2:1 ჰუნტელაარი (53-პენ), 2:2 ს. კამარა (90).
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** იულიან დრაქსლერი (შალკე)

გელზენკირხენში "შალკემ" "მონპელიეს" უმასპინძლა და ბოლო წუთზე გაშვებული გოლის გამო უმნიშვნელოვანესი ორი ქულა დაკარგა, ფრანგებმა კი ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნეს. ანგარიში, ბევრისთვის მოულოდნელად, ფრანგებმა გახსნეს – მე-13 წუთზე **ქარიმ აიტ-ფანამ** შესანიშნავი დარტყმით **ლარს უნერშტალს** შანსი არ დაუტოვა. მასპინძელთა მხრიდან საუკეთესო **იულიან დრაქსლერი** იყო – ახალგაზრდა ფეხბურთელმა 26-ე წუთზე **კლაას-იან ჰუნტელლარის** შესანიშნავი პასით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრდა, 53-ეზე კი მასპინძლებს პენალტი მოუპოვა და გარდა ამისა, შეხვედრის არბიტრს სტუმართა მცველი **გარი ბოკალი** გააძევებინა. 11-მეტრიანი ზუსტად ჰუნტელაარმა შეასრულა. ამის შემდეგ ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი "შალკეს" საბოლოო გამარჯვებაში, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე ათნი იყვნენ, "მონპელიემ" ანგარიშის გათანაბრება მაინც შეძლო, თან ეს უკანასკნელ წუთზე გააკეთა – თავი სტუმართა მხრიდან **სულეიმან კამარამ** გამოიჩინა.

**ჰუუბ სტევენსი ("შალკეს" მწვრთნელი):** *"შეიძლება ითქვას, რომ ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ამავე დროს არ დაგვავიწყდეს, რომ უკვე 4 ქულა გვაქვს და სანერვიულო ჯერ არაფერია".*

**რენე ჟირარი ("მონპელიეს" მწვრთნელი):** *"მე ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, რომლებიც არ დანებდნენ და ბოლომდე იბრძოლეს. დღეს ქულა ნამდვილად დავიმსახურეთ".*



ტურის გმირი: ჯო ჰარტი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. მონპელიე | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

### C ჯგუფი

**ზენიტი–მილანი 2:3**

**გოლები:** 0:1 ემანუელსონი (13), 0:2 ელ შაარავი (16), 1:2 ჰალკი (45), 2:2 შიროკოვი (49), 2:3 ჰუბოჩანი (75-საკ. კარში).
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კრისტიან აბიატი (მილანი)

"მილანს" სანკტ-პეტერბურგში ურთულესი მატჩი ჰქონდა. პირველ ტურში "ანდერლეხტთან" ფრის შემდეგ, "როსონერის" ფეხის კიდევ ერთი დაცდენა არ ეპატიებოდა, პრაქტიკულად ანალოგიურ სიტუაციაში იყო "ზენიტიც", რომელიც საწყის შეხვედრაში მალაგაში განადგურდა.

მატჩი "მილანისთვის" ძალიან კარგად დაიწყო და უკვე მე-16 წუთისთვის **მასიმო ალეგრის** გუნდი ორბურთიანი სხვაობით იგებდა. გოლები **ურბი ემანუელსონმა** და **სტეფან ელ შაარავიმ** გაიტანეს. "პატარა ფარაონის" გოლი ნამდვილად არის აღნიშვნის ღირსი, სტეფანმა ბურთი შესანიშნავი დრიბლინგის შემდეგ გაიტანა.

მეორე გოლის შემდეგ, "მილანი" საკუთარი კარის დაცვაზე ზრუნავდა და "ზენიტმა" უდიდესი უპირატესობა მოიპოვა, თუმცა მასპინძლები **კრისტიან აბიატის** ვერაფერს უხერხებდნენ, რომელიც უბრალოდ დაფრინავდა და ურთულეს ბურთებს იგერიებდა, როგორც მასპინძელთა, ასევე საკუთარი ფეხბურთელების დარტყმების შემდეგ (**ანტონინი** და **მონტოლივო** ბეწვზე გადაურჩნენ ავტოგოლებს). 45-ე წუთზე აბიატიც უძლური აღმოჩნდა და **ჰალკმა** ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მეორე ტაიმის დებიუტში "მილანის" მეკარე პირველად და უკანასკნელად შეცდა, რითაც **შიროკოვს** ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. "ზენიტმა" მოსაგებად გაიწია, მაგრამ გოლი აქეთ გაუშვა – მონტოლივოს ჩაწოდებული **ჰუბოჩანს** მოხვდა და **მალაფეევი** მოძრაობაზე დაიჭირა. საბოლოოდ 2:3 და "მილანმა" ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო, "ზენიტი" კი პირველ ორ ტურში ნაგების შემდეგ, ამ ჯგუფში უშანსოდ მოჩანს.

**ლუჩანო სპალეტი ("ზენიტის" მწვრთნელი):** *"ძალიან დამწუხრებული ვარ. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ფეხბურთელებს ამ მატჩის მნიშვნელობა დაავიწყდათ და მოედანზე ბოლომდე კონცენტრირებულნი არ გამოსულან".*

**სტეფან ელ შაარავი (მილანი):** *"ძალიან რთული მატჩი გამოდგა და ბოლო წამამდე მოგვიწია საკმაოდ ძლიერი "ზენიტის" წინააღმდეგ ბრძოლამ".*

**ანდერლეხტი–მალაგა 0:3**

**გოლები:** 0:1 ელიზეუ (45+1), 0:2 ხოაკინი (56-პენ), 0:3 ელიზეუ (64).
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ელიზეუ (მალაგა)

"მალაგამ" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და ჯგუფში ერთპიროვნულად გალიდერდა. ბრიუსელში გამართული შეხვედრის გმირი **ელიზეუ** გახდა, რომელმაც ულამაზესი დარტყმით გახსნა კიდეც ანგარიში. მეორე ტაიმში ჯერ **ხოაკინმა** (პენალტით), შემდეგ კი ისევ **ელიზეუმ** გამოიჩინეს თავი და ანდალუსიელებმა მეორე შეხვედრაც დიდი ანგარიშით მოიგეს.

**ელიზეუ (მალაგა):** "ახლა ჯგუფში პირველ ადგილზე ვართ, მაგრამ არ უნდა გავჩერდეთ და შრომა განვაგრძოთ. ვიცით, რომ ბევრის მიღწევა შეგვიძლია, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ისევ ისე ვიმუშაოთ და არ მოვეშვათ".

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. ანდერლეხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 4. ზენიტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

### D ჯგუფი

**აიაქსი–რეალი 1:4**

**გოლები:** 0:1 კ. რონალდო (42), 0:2 ბენზემა (48), 1:2 მოისანდერი (56), 1:3 კ. რონალდო (79), 1:4 კ. რონალდო (81).
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კრისტიანო რონალდო (რეალი)

"სამეფო კლუბმა" ზედიზედ მეხუთედ დაამარცხა ამსტერდამის "აიაქსი", ხოლო **კრისტიანო რონალდომ** კარიერის განმავლობაში ჩემპიონთა ლიგაში პირველი ჰეთთრიქი შეასრულა. "რეალს" 7 ოქტომბერს ელ კლასიკო ელის, ამიტომ **ჟოზე მოურინიომ** ძირითადის რამდენიმე წევრი დაასვენა. მოედანზე მყოფი ფეხბურთელებიც თავს დიდად არ იკლავდნენ – ყველაზე გამორჩეული და მონდომებული **კაკა** იყო, რომელიც ამ სეზონში მხოლოდ მეორე მატჩს ატარებდა.

ანგარიში სტუმრებმა ტაიმის ბოლოს გახსნეს, მეორე ტაიმის დასაწყისში კი **ქარიმ ბენზემამ** ტურის და მთლიანად ამ ჩემპიონთა ლიგის ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა – სწრაფი კონტრშეტევის დროს კაკამ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, ბენზემამ კი მაკრატელა დარტყმით შანსი არ დაუტოვა **კენეტ ვერმეერს**. მიუხედავად იმისა, რომ ამსტერდამელებმა **მოისანდერის** გოლის წყალობით ანგარიშის შემცირება შეძლეს, დაძაბულობა მაინც არ იგრძნობოდა და საბოლოოდ "რეალმა" ყველაფერი ლოგიკურად დაასრულა. რონალდომ ორწუთიან მონაკვეთში ორი ლამაზი გოლი გაიტანა და 4 გოლით სათავეში ჩაუდგა ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირთა დავას.

**ჟოზე მოურინიო ("რეალის" მწვრთნელი):** *"ჩვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვიყავი, იქამდე სანამ "აიაქსი" გაგვიტანდა. ახლა, ამ ურთულეს ჯგუფში 6 ქულით ვლიდერობთ და შეგვიძლია ოდნავ დავმშვიდდეთ, მაგრამ არა ზედმეტად, ვინაიდან ასეთი მეტოქეების პირობებში ზედმეტმა თავდაჯერებამ შესაძლოა დაგვღუპოს".*

**მანჩესტერ სიტი–ბორუსია (დ) 1:1**

**გოლები:** 0:1 როისი (61), 1:1 ბალოტელი (90-პენ).
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჯო ჰარტი (მანჩესტერ სიტი)

ტურის ცენტრალური მატჩი მანჩესტერში გაიმართა და კინაღამ სენსაცია დაფიქსირდა, თუმცა მატჩის მიმდინარეობის მიხედვით "ბორუსიას" გამარჯვება სენსაცია ნამდვილად არ იქნებოდა – ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი "სიტის" მეკარე **ჯო ჰარტი** გახდა.

მატჩი ძალიან სანახაობრივი გამოდგა და გუნდებმა უამრავი მომენტი გააჩნიავეს. ამ მხრივ განსაკუთრებით **მარიო გიოტცე** გამოირჩეოდა, რომელმაც პირველ ტაიმში ბურთი ძელს ორჯერ გაარტყა, ხოლო ერთ ეპიზოდში **ჰარტთან** ერთი-ერთზე გასვლა ვერ გამოიყენა. მასპინძელთა მხრიდან კი გატანის შანსები **აგუეროს** ჰქონდა, თუმცა ყველაზე რეალური მომენტი, ტაიმის ბოლოს ხელიდან **დავიდ სილვამ** გაუშვა – ესპანელმა "მოახერხა" და ბურთი კარს 3 მეტრიდან ააცილა.

"ბორუსიამ" უდიდესი უპირატესობა გოლად მეორე ტაიმში აქცია. 61-ე წუთზე შეცდა **ჯეკ როდუელი**, რომელმაც ბურთი **მარკო როისს** ჩააბარა, ამ უკანასკნელმა კი დრიბლინგით გაიკვალა გზა და ჰარტთან ერთი-ერთზე აღმოჩნდა. "სიტის" მეკარემ როისის დარტყმულიც მოიგერია, თუმცა ბურთი კარში მაინც გავიდა. "დორტმუნდს" მომენტები ამის შემდეგაც ჰქონდა, მაგრამ ჰარტი ამ დღეს დაფრინავდა და წარმოუდგენელ "სეივებს" აკეთებდა. საბოლოოდ უამრავი საგოლე მომენტის გამოუყენებლობის გამო "ბორუსია" დაისაჯა – 89-ე წუთზე სილვას დარტყმული **სუბოტიჩს** ხელზე შეეხო და შეხვედრის მთავარმა მსაჯმა **პაველ კრალოვეცმა** 11-მეტრიანი ნიშნულისკენ მიუთითა. პენალტი **მარიო ბალოტელიმ** გამოიყენა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ანგარიში იყო ყველაზე უსამართლო შედეგი, რაც კი წელს ლიგაში დაფიქსირებულა. მართლაც ძნელი გასახსენებელია გუნდს ამდენი 100-პროცენტიანი მომენტი შეექმნას და მატჩი ვერ მოეგოს.

**რობერტო მანჩინი ("მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი):** *"ბორუსიამ" ჩვენზე უკეთ ითამაშა. თუ ჩვენ გვსურს, რომ უმაღლეს დონეზე წარმატებით ვითამაშოთ, იმაზე გაცილებით უკეთ უნდა ვიასპარეზოთ, ვიდრე ეს დღეს გავაკეთეთ".*

**მარკო როისი (ბორუსია):** *"ძალიან იმედგაცრუებულნი ვართ, რადგან უამრავი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. დღეს დავამტკიცეთ, რომ ევროპის წამყვან გუნდებთან თამაშის ძალა შეგვწევს. "რეალთან" განსხვავებული მატჩები იქნება, მაგრამ ჩვენ საკუთარი სიძლიერის გვწამს".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| 2. ბორუსია (დ) | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. მან. სიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 4. აიაქსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

● პასი ამერიკიდან


ფეხბურთელები ამაოდ ელოდნენ მატჩის დაწყებას

# სუპერკლასიკო ჩაიშალა

გუშინ არგენტინის და ბრაზილიის ნაკრებებს "სუპერკლასიკო დას ამერიკას" ეგიდით მეორე მატჩი უნდა გაემართათ. ეს არის ორმატჩიანი ტურნირი, რომლის პირველ შეხვედრაშიც ბრაზილიამ **ნეიმარის** მიერ ბოლო წუთზე გატანილი პენალტის წყალობით 2:1 მოიგო. საპასუხო შეხვედრა არგენტინაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ხელოვნური განათების გაუმართაობის გამო, შეხვედრა არ შედგა.

ორივე ნაკრები ბრაზილიის და არგენტინის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. მოთამაშეები და გულშემატკივრები სიტუაციის გამოსწორებას საათზე მეტხანს ელოდნენ, მაგრამ "რეზისტენსიას" განათებას არაფერი ეშველა. საბოლოოდ მატჩის ჩილელ არბიტრს **ენრიკე ოსესს** ეს ყველაფერი მობეზრდა და შეხვედრა გაუქმებულად გამოაცხადა.

ამ მომენტისთვის ცნობილი არ არის, როდის გაიმართება ეს მატჩი, რადგან ორივე ქვეყნის ფედერაციამ განაცხადა, რომ საერთაშორისო კალენდარში წლის ბოლომდე თავისუფალი დღეები არ არის. აქედან გამომდინარე, დანამდვილებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ 2012 წელს ეს გუნდები ერთმანეთს არ შეხვდებიან.

**ტატო ბაციკაძე**

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# როდეზე დორტმუნდშიც ფიქრობენ


დორტმუნდელი იაკუბ ბლაშჩიკოვსკი და ფრანკფურტელი სებასტიან როდე შეიძლება თანაგუნდელები გახდნენ

მიუნხენის „ბაიერნის" შემდეგ, ფრანკფურტის „აინტრახტის" ახალგაზრდა საყრდენი ნახევარმცველი **სებასტიან როდე** დორტმუნდის „ბორუსიას" და ლევერკუზენის „ბაიერის" ინტერესის სფეროშიც მოექცა. 21 წლის ფეხბურთელი ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის აღმოჩენად მიიჩნევა, რადგან ყველა შეხვედრაში ძალიან კარგად ითამაშა - „კიკერი" როდეს 2.17 ბალით აფასებს, რაც უკვე სერიოზული მიღწევაა. შესაბამისად, აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რომ როდეს ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა, რაც „აინტრახტის" თავკაც **არმინ ფეეს** არ მოსწონს.

*„კლუბის ხელმძღვანელებმა სებასტიანის გაყიდვა რომ გადაწყვიტონ, ვერაფერს გავაწყობ, მაგრამ ამის წინააღმდეგი ვარ და ხელმძღვანელებს ვაფრთხილებ, რომ თუ წამყვან ფეხბურთელებს გაუშვებენ, აქ მუშაობაზე მეც უარს ვიტყვი,"* - დაიმუქრა ამას წინათ ფრანკფურტელთა დამრიგებელი „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, „დორტმუნდის" ხელმძღვანელები როდეს გადაბირებაზე უკვე სერიოზულად ფიქრობენ. სებასტიანს „აინტრახტთან" კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ როდე წელს ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებს, სეზონის ბოლოს მისი გაყიდვა „აინტრახტისთვის" ტრანსფერით ფულის შოვნის უკანასკნელი შანსი იქნება.

**გოტფრიდ ლენცი**

● ინტერი

# ფიგუ: ინტერს რეალზე არ გავცვლი



ლუიშ ფიგუ ინტერის ერთგულია

ბოლო პერიოდში, აქტიურად ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ **ლუიშ ფიგუს** გადაბირებით მადრიდის "რეალის" მესვეურები არიან დაინტერესებულნი... დიახ, არ გაგიკვირდეთ - 39 წლის ფიგუ დღეს "ინტერის" დირექტორთა საბჭოს წევრია და თურმე, მისი წაყვანა **ფლორენტინო პერესს** სურს. თუ რა თანამდებობისთვის სჭირდება პორტუგალიელი "რეალის" პრეზიდენტს, ჯერ უცნობია, მაგრამ ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ლაპარაკია მისთვის სპორტული დირექტორის პოსტის შეთავაზებაზე. ამ ამბავზე თვითონ ფიგუმ ისაუბრა:

*"სიმართლე გითხრათ, ამის შესახებ ხმები ჩემამდეც მოვიდა, მაგრამ რამდენად რეალურია, ვერ გეტყვით. მადრიდიდან არავინ დამკავშირებია და ჭორებს ვერ ავყვები. მართალიც რომ იყოს, "ინტერიდან" წასვლის სურვილი არ მაქვს და სავარაუდოდ, უარს განვაცხადებ. დიახ, "ინტერის" დატოვება არც ერთ თანამდებობად არ მიღირს და მინდა ეს მადრიდშიც იცოდნენ".*

**ლაშა ნიკლაური**

● მოსაზრება

# მიკოლის ნაკრებზე გული წყდება

## მიზნები კი ამბიციური აქვს...

**სერია A-ს უკანასკნელ ტურში, ფაბრიციო მიკოლიმ ჰეთთრიკი შეასრულა და დაგვანახვა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. 33 წლის ფორვარდი "პალერმოს" ნამდვილი ლიდერია და როგორც თავად აცხადებს, პოზიციების დათმობას კიდევ კარგა ხანს არ აპირებს. ფაბრიციოს "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი გაესაუბრა და საინტერესო თემებზე ჩამოუგდო სიტყვა.**

### პალერმო

გასულ ზაფხულს, "პალერმოს" დატოვებასთან ახლოს ვიყავი, რადგან მწვრთნელი არ მენდობოდა და ვგრძნობდი, რომ ძირითადად სათადარიგო სკამზე მომიწევდა ჯდომა. მიუხედავად ამისა, გავრისკე და დავრჩი, რასაც ნამდვილად არ ვნანობ. **ჯუზეპე სანინიო** მალე გაათავისუფლეს დაკავებული პოსტიდან, ახალ დამრიგებელთან კი საერთო ენა იოლად გამოვნახე. **ჯამპიერო გასპერინი** შესანიშნავი ადამიანია, ამასთან, ბრწყინვალე ტაქტიკოსი. დარწმუნებული ვარ, "პალერმო" გასპერინის ხელში ბევრ წარმატებას მიაღწევს.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მაგალითად "ნაპოლის", ბევრად უფრო ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, ვიდრე ჩვენ... მთავარი საქმისადმი სწორი მიდგომაა და მჯერა, რომ ამ გზას ჩვენც ვადგავართ. მართალია, სეზონის სტარტით თუ ვიმსჯელებთ, ეს ასე არ არის, მაგრამ დამიჯერეთ, მწვრთნელის შეცვლამ ყველაფერი შეცვალა. დღეს, გაცილებით თავდაჯერებულები ვართ, ვიდრე აქამდე ვიყავით.

### მიზანი

უკვე დიდი ხანია "პალერმოს" მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა და ასეა მიმდინარე სეზონშიც. ვიცი, რომ ეს ბევრს უტოპიად ეჩვენება, მაგრამ ჩემი პირადი აზრით, სამეულში მოხვედრის პოტენციალი ნამდვილად გვაქვს, სხვა საქმეა, რომ ამ პოტენციალს სანახევროდ ვიყენებთ და შედეგსაც შესაბამისს ვიმკით. დიახ, ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გვსურს მოხვედრა და დანარჩენი უკვე მოედნებზე გამოჩნდება. ისე, სანამ მიზნების მიღწევაზე ვიფიქრებდეთ, იქამდე თამაშის ხარისხი უნდა გამოვასწოროთ. ჩვენი უპირველესი ამოცანა სწორედ ეს უნდა იყოს და დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

### ნაკრები

ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ ათი თამაში მაქვს ჩატარებული, რაზეც ყოველთვის გული მწყდება. ძალიან მინდა, რომ "სკუადრა აძურაში" სისტემატურად ვასპარეზობდე, მაგრამ ასეთი პერიოდი არასდროს მქონია. იყო დრო, როდესაც სეზონში 20-მდე გოლს ვიტანდი, მაგრამ მწვრთნელები მაინც არ მწყალობდნენ. დავკარგე თუ არა "აძურაში" მოხვედრის იმედი? - ბუნებით ოპტიმისტი ვარ და სანამ ვითამაშებ, ნაკრებში მოხვედრის იმედი ყოველთვის მექნება. **ჩეზარე პრანდელი** სამართლიანი ადამიანია და თუ კარგ ფორმაში ვიქნები, იქნებ გამომიძახოს კიდეც.

**ლაშა ნიკლაური**


ფაბრიციო მიკოლი

● ბაიერნი


ეროვნული ბიბლიოთეკა
ბაიერნის მწვრთნელი იუპ ჰაინკესი და სპორტული დირექტორი მათიას ზამერი

# ბრძოლა ძალაუფლებისთვის

## ჰაინკესმა ზამერი პოპულისტობაში დაადანაშაულა

ბატე-სთან მოულოდნელი და უსიამოვნო მარცხის შემდეგ, „ბაიერნის" მწვრთნელ **იუპ ჰაინკესსა** და სპორტულ დირექტორ **მათიას ზამერს** შორის ურთიერთობა დაიძაბა. ეს არ იყო მხოლოდ ამ ნაგების ბრალი - უბრალოდ, როგორც ჩანს, სეზონის პირველი ნაგება (ბავარიელებს მანამდე ყველა შეხვედრა მოგებული ჰქონდათ), რეკორდმაისტერის თავკაცის მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი აღმოჩნდა.

დაპირისპირება გასულ უქმეებზე, ბრემენში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დაიწყო, როცა, მიუხედავად მოგებისა, „ბაიერნის" 45 წლის სპორტულმა დირექტორმა გუნდი და მწვრთნელი საჯაროდ გააკრიტიკა. ზამერმა განაცხადა, რომ ფეხბურთელების შემართებით უკმაყოფილო იყო და დასძინა, მწვრთნელმა არ უნდა დაუშვას, რომ ფეხბურთელები მოდუნდნენო. რაკი „ვერდერთან" მატჩის ჩათვლით „ბაიერნს" ყველა ოფიციალური მატჩი მოგებული ჰქონდა, 67 წლის ჰაინკესმა ზამერს ასეთი განცხადება პოპულისტობაში ჩაუთვალა. ოღონდ, „დონ იუპმა" ეს სწორედ ბატე-სთან განცდილი მარცხის შემდეგ თქვა.

*„მე არ მომეწონა მათიასის ტონი და ამას არც ვმალავ. ვფიქრობ, ასეთ განცხადებას არ ვიმსახურებდით და ზამერის კრიტიკა აშკარად გადამეტებული იყო. მიმაჩნია, რომ თუ მას რამე არ მოსწონს, ეს საჯაროდ კი არა, პირადად უნდა მითხრას. სხვა შემთხვევაში ეს პოპულიზმია,"* - განაცხადა ჰაინკესმა ბატე-სთან მატჩის შემდეგ.

მწვრთნელის შეტევას სპორტული დირექტორის მყისიერი კონტრშეტევა მოჰყვა. ზამერმა თქვა, არც მე მომწონს ჰაინკესის განცხადებაო. ერთი სიტყვით, ხდება ის, რაც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ჯერ კიდევ ზაფხულში, იმ დროს იწინასწარმეტყველეს, როცა ზამერის სპორტულ დირექტორად დანიშვნა გადაწყდა.

„ბილდის" ცნობით, გუშინ ზამერი და ჰაინკესი ერთმანეთს ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგესთან** ერთად შეხვდნენ. ოფიციალური კომენტარები აღარ გაკეთებულა, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მომხდურები შერიგდნენ, თუმცა არავინ იცის, რამდენად გულახდილია ეს შერიგება. მოგვიანებით კომენტარი მხოლოდ „ბაიერნის" პრეზიდენტმა ული ჰიონესმა გააკეთა: *„სპორტულ დირექტორს აქვს იმის უფლება, რომ ასეთი განცხადებები გააკეთოს, თუმცა მიმაჩნია, რომ ზამერმა კრიტიკისთვის ცუდი დრო აირჩია. მოგებული მატჩებისა და ასპროცენტიანი შედეგის დროს გუნდებს და მწვრთნელებს არ აკრიტიკებენ! თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჰაინკესი წნეხის ქვეშაა, ძალიან ცდება. დარწმუნებული ვარ, რომ ჰაინკესსა და ზამერს შორის დაპირისპირება ამით დამთავრდება."*

გერმანელი ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლა არათუ არ დამთავრებულა, არამედ ახლა იწყება...

**გოტფრიდ ლენცი**

● მილანი

# პატომ პირველად ივარჯიშა

"გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, **ალეშანდრე პატომ** პირველად ივარჯიშა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ახლო მომავალში მოედანს დაუბრუნდება. 23 წლის ბრაზილიელი ფორვარდი უკვე თვეებია ტრავმირებულია და მიმდინარე სეზონში, არც ერთ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა. თავად ალეშანდრეს დიდი იმედი ჰქონდა, რომ მოედანს "ინტერთან" შეხვედრაში დაუბრუნდებოდა, მაგრამ მთლად ასე არ არის საქმე... ამის შესახებ თავად პატომ ისაუბრა:




*"მქონდა იმედი, რომ "ინტერთან" თამაშს შევძლებდი, მაგრამ ბოლო მონაცემებით, ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა, ხასიათი მაინც ამაღლებული მაქვს, რადგან დიდი პაუზის შემდეგ პირველ ვარჯიშში მივიღე მონაწილეობა. ძალიან სასიამოვნო შეგრძნება დამეუფლა და ხასიათიც გამომიკეთდა. ვგრძნობ, რომ "მილანს" ჩემი დახმარება სჭირდება, რაც მოტივაციას მიათმაგებს. აქვე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გულშემატკივრებს, რომლებიც ასობით წერილს მწერენ და ყველანაირად მამხნევებენ".*

**ლაშა ნიკლაური**

● საფეხბურთო ტაქტიკა

# 4-2-3-1-ის ამობრწყინება

## ... და მეფეებად ქცეული ათიანები

**ფეხბურთში ტაქტიკური ფორმაციები მოდიან და ქრებიან, მაგრამ ეჭვიც კი არავის ეპარება, რომ ახლა ჩვენ 4-2-3-1-ის ხანაში ვცხოვრობთ, სადაც კლასიკური „ათიანები" მეფეებად იქცნენ, ხოლო შუამარბები ცენტრფორვარდების უკან დარბიან და საერთოდაც, ორი განაპირა მცველის გარდა ყველა მინდვრის სიღრმეში მოქმედებს.**

ამ სქემამ ისე გაიდგა ფესვები დღევანდელ ფეხბურთში, რომ კონსერვატორი ინგლისელებიც კი მიეძალნენ მას, **როი** მოქმედებს ნახევარდაცვასა და შეტევას შორის, როგორც გამტარი. თითქმის შეუძლებელია იაპონელის წარმოდგენა კლასიკურ, 4-4-2 სქემაში.

იმავეს თქმა შეგვიძლია „ჩელსის" **ედენ აზარზე**, „ტოტენჰემის" **გილფი სიგურდსონზე**, „არსენალის" **სანტი კასორლაზე**, „სიტის" **დავიდ სილვასა** და **სამირ ნასრიზე**. თითქმის ყოველი მათგანი პრემიერლიგის წარმატების სიმბოლოდ იქცა.

ამ სისტემას წარმატება მოაქვს, გასულ სეზონში მადრიდის „რეალმა" და დორტმუნდის „ბორუსიამ" თავ-თავიანთ ქვეყნებში მოიგეს ჩემპიონატები 4-2-3-1-ით, ხოლო „ჩელსიმ" - ჩემპიონთა ლიგა.



დღეს ეს სქემა სასწაულებს ახდენს

**ჰოჯსონის** ფორმაციის ინგლისის ნაკრები 4-2-3-1-ს იყენებს, სადაც **სტივენ ჯერარდი** და **ფრენკ ლემპარდი** საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებენ. თვით სერ **ალექს ფერგიუსონიც** კი, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედში" თავისი ყველა გამარჯვება 4-4-2-ის წყალობით აქვს მოპოვებული, იაპონელი **შინჯი კაგავას** ყიდვით ადასტურებს, რომ მზადაა საფეხბურთო მოდას ფეხი აუწყოს. კაგავა სუფთა „ტრექვარტისტაა", ანუ შემტევი ნახევარმცველი, სხვანაირად, „ათიანი". ის

მაშ, როდის დასრულდა 4-4-2-ის ეპოქა და დაიწყო 4-2-3-1-ის ზეობა?

„სპორტს ილუსტრეიდის" ჯონათან უილსონი ამბობს, რომ ეს სქემა ესპანეთში დაიბადა 90-იანი წლების დასაწყისში, საფეხბურთო ტახტზე კი 2010 წლის მუნდიალზე ავიდა - სამხრეთ აფრიკაში ესპანეთის ნაკრების გამარჯვების შემდეგ.

2010 წლის დეკემბერში ამის შესახებ „ზონალ მარკინგი" წერდა: „2010 წლის მუნდიალმა დაადასტურა 4-2-3-1-ის უპირატესობა. 4-დან სამი ნახევარფინალისტი (ესპანეთი, გერმანია და ჰოლანდია) ამ სისტემას იყენებდა. ეს სისტემა კი კარგ პლეიმეიქერს ითხოვს, როგორებიც ამ გუნდებში **ჩავი, მესუთ იოზილი** და **ვესლი სნეიდერი** იყვნენ".

ამ გუნდების წარმატებიდანაც გამოჩნდა, რომ ჰოჯსონი უბრალოდ იძულებული იყო, თავადაც ეს სისტემა მოერგო გუნდზე, თუკი ვერ უგებ მათ, გახდი მათნაირი... თეორიულად მაინც.

მაგრამ ფორმაცია ვერაფერს მოგცემს, თუკი მას შესაფერის ფეხბურთელებს ვერ მოარგებ, ინგლისელები კი „ათიანებით" არ არიან განებივრებულნი, ამიტომაც ჰოჯსონმა კრეატივს მიმართა - „მანჩესტერ იუნაიტედის" **კლევერლი** შეარჩია „ტრექვარტისტად", ხოლო ჯერარდს და ლემპარდის ევალებათ მის უკან მოქმედება, არადა, ორივეს უყვარს წინ წასვლა.

ახლა შუამარბებზე ვთქვათ, უკრაინასთან ევრო 2014-ის შესარჩევ მატჩში ინგლისელებმა ამ პოზიციაზე გამოუცდელი **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი** და **ჯეიმს მილნერი** დააყენეს.

4-2-3-1 მხოლოდ სხვადასხვა კუთხით შეტევებს არ უზრუნველყოფს, იმის გამო, რომ თითქმის 8 ფეხბურთელი იყრის მოედნის სიღრმეში თავს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს სივრცეები ეკეტებათ.

აი, ამიტომაც „ლივერპულის" ყოფილი ბოსი, ესპანელი **რაფა ბენიტესი** ევრო 2012-ის წინ ინგლისელებს ურჩევდა 4-2-3-1 გამოეყენებინათ ფრანგების წინააღმდეგ: *„ეს სისტემა ინგლისელებს უპირატესობას მისცემს ფრანგების წინააღმდეგ, რომლებიც სწრაფები და ტექნიკურები არიან"*, - წერდა რაფა „ეკონომისტში".

მაშ, როგორი ფორმაციაა 4-2-3-1, ნეგატიური თუ პოზიტიური? ყველაფერი დამოკიდებულია იმ ფეხბურთელებზე, რომელთაც ვიყენებთ და იმ მენტალიტეტზე, რომლითაც ვუდგებით საკითხს. ერთი სისტემით ხომ სხვადასხვანაირი ფეხბურთის ჩვენება შეიძლება...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● დანაშაული და სასჯელი



სოფიან ფეგულის მსაჯთან კამათი ძვირი დაუჯდა

### 3 მატჩი ტაშისთვის

„ვალენსიას" შემტევი ნახევარმცველი **სოფიან ფეგული** 3 მატჩით არის დისკვალიფიცირებული. 22 წლის ალჟირელი, რომელიც 2010 წელს ფრანგული „გრენობლიდან" გადავიდა ესპანეთში, „სარაგოსასთან" 2:0 დასრულებულ მატჩში გააძევეს. 61-ე წუთზე ფეგულიმ მე-2 ყვითელი ბარათი იმისთვის მიიღო, რომ მეტოქეს საჯარიმოს გათამაშებას უშლიდა. ფეგულიმ წითელი ბარათი რომ იხილა, დაიწყო კამათი, ბოლოს კი ყველაფერი ცინიკური ტაშისკვრით დაასრულა. სწორედ ამიტომაც, ალჟირელი 3 თამაშით დაისვენებს და არა ერთით. უახლოესი მატჩი ვალენსიური დერბია - „ლევანტეს" წინააღმდეგ.

### მედელის თავური 2 მატჩით შეფასდა

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ სხვა საკითხებზეც იმსჯელა - „სევილიასა" და „ბარსელონას" დაპირისპირებაში **სესკ ფაბრეგასისთვის** თავის დარტყმის მცდელობისთვის **მატეუ ლაოსმა** ჩილელი **გარი მედელი** გააძევა. ეს ინციდენტი 72-ე წუთზე მოხდა. კომისიის წევრებმა მასპინძელთა 25 წლის ნახევარმცველის ქმედებაში გამიზნული აგრესია ვერ შეამჩნიეს. ამიტომაც, სამხრეთამერიკელს 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს. „სევილიას" თავკაცი **მიჩელი** ერთ თამაშს გამოტოვებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ამბები

### სტოკი დანს ეპატიჟება

ინგლისური პრესის ცნობით, "ასტონ ვილას" 33 წლის ირლანდიელი მცველი **რიჩარდ დანი** "ვილა პარკის" დატოვებას იანვარშივე აპირებს, რადგან გუნდის ახალ მწვრთნელთან, შოტლანდიელ **პოლ ლამბერტთან** საერთო ენა ვერ გამონახა. მიზეზი ძალზე პრიმიტიულია - გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი ვეტერანს არ ენდობა. დანის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა "სტოკ სიტიმ". რაღა დასამალია და ფეხბურთელი **ტონი პულისსაც** სკამისთვის სჭირდება.

### რიჩარდსი ოქტომბრის ბოლოს

"მანჩესტერ სიტის" 24 წლის მარჯვენა მცველმა **მიკა რიჩარდსმა** ტრავმა ოლიმპიურ თამაშებზე ბრიტანეთის ნაკრების რიგებში ასპარეზობისას მიიღო და მას შემდეგ მკურნალობს. წელს მას **რობერტო მანჩინის** გუნდში ერთხელაც არ უვარჯიშია. რამდენიმე დღის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მიკა ვარჯიშის დასაწყებად მზად იყო, მაგრამ ინფორმაცია არ დადასტურდა. "სიტის" პრესსპიკერის თქმით, ფეხბურთელი მოედანს ოქტომბრის ბოლოს თუ დაუბრუნდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

● კაპიტანი

# გლადიატორი: მან უკვე ყველაფერი მოიტეხა ბარსელონასთვის


ხელმოტეხილი კარლეს პუიოლი კლინიკიდან გამოდის

კაპიტანი ისეთი უნდა, როგორიც „ბარსელონას" ჰყავს - 34 წლის **კარლეს პუიოლი**! 2004 წლის აგვისტოს შემდეგ, როცა მან სამკლავური **ლუის ენრიკესგან** გადაიბარა, ერთგულად ემსახურება კლუბს ყოჩის სტატუსით. ამ ხნის განმავლობაში კარლესს რა არ გადახდა, მაგრამ „გლადიატორს" „ბარსას" საკეთილდღეოდ არაფერი ენანება, მათ შორის, არც საკუთარი ჯანმრთელობა. პუიოლმა 500-ზე მეტი მატჩი გამართა „ბარსელონაში" და 18 დიდი ტიტული მოიგო. მაგრამ ეს ყველაფერი დიდ ფასად დაუჯდა - მან სხეულის პრაქტიკულად ყველა ნაწილი დაიშავა კარიერის განმავლობაში. კარლესს მოუტეხია: სახის ძვლები, ლავიწი, გაუწყვეტია მუხლის ჯვარედინი იოგები, დაუმსხვრევია კოჭი, ამოუგდია მხარი, გაუტეხია ცხვირი. ახლა კი იდაყვის ჯერი დადგა...

ასეთია კაპიტანი - როცა თამაშობს გულით და სულით თამაშობს, იბრძვის ბოლო გოჯისთვისაც, მას, მხოლოდ მას შეუძლია 0:3-ზეც კი გამარჯვებაზე იფიქროს. მისი მიდგომა საქმისადმი ისეთია, რომ არავის გაუკვირდება კვირას „კლასიკოზე" სათამაშოდ რომ გამოვიდეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეუძლებელია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. VII ტურის წინ

**დღეს**

**სელტა-სევილია 23:30**

გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩი

**აუგსბურგი-ვერდერი 22:30**



# TimeLine

# კაცური საქმე

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვიდრე წერას შევუდგებოდი, ვენახში პატარა მაგიდა გავიტანე, ზედ კომპიუტერი მოვათავსე და სასხლავი მაკრატლების წკაპაწკუპში „ტაიმლაინის“ წერას შევუდექი. თემა?**
**- კარგ ღვინოს ვგავარ: რაც ასაკი მემატება, მით უფრო უკეთესი ვხდები, - ზლატან იბრაჰიმოვიჩის ტრაბახნარევი სიტყვები გამახსენდა. საქართველოში რთველის დროა, ამიტომ დღევანდელი „ტაიმლაინის“ თემადაც ღვინო შევარჩიეთ.**



## ღვინის ქვეყანა

2011 წელს, ევრობასკეტის მსვლელობისას ერთმა ლიტველმა მძღოლმა ჩემი წარმომავლობა რომ გაიგო, მითხრა:

*- დალოცვილ ქვეყანაში ცხოვრობ, ჯარში ქართველი მეგობარი მყავდა და მისი ღვინის გემო ახლაც არ დამვიწყებია. ჩვენთან ღვინოს ვაშლისგან აკეთებენ, გული არ მიგივა.*

ამ შეხვედრიდან მესამე დღეს ჟურნალისტები კლაიპედაში გაგვატარეს. ერთ ქუჩაზე დიდ ქვაბში წვენს ხარშავდნენ - ახლა ლიტვურ ღვინოს გაგასინჯებთო. ჭიქაში ღვინოსთან ერთად მოათავსეს „სანრუპი“, რომელიც გვერდზე გავწიე და მოვსვი. ისეთი ცხელი აღმოჩნდა, ერთი კვირა პირი მეწვოდა. „ღვინო“ ძალიან ტკბილი იყო და მასში ვაშლთან ერთად ფორთოხლის ნაჭრები ცურავდა. ...მართალი ყოფილა მძღოლი.

ტყუილად არ უთხრა **ზაზა ფაჩულიამ** ამერიკელ ჟურნალისტებს რამდენიმე წლის წინათ:

*- რესტორანი „ენო“ შემთხვევით როდი შევიძინე, საქართველო ღვინის სამშობლოა. შესანიშნავი ღვინოები გვაქვს, რომელთა გასინჯვა „ენოს“ სტუმრებსაც შეეძლებათ.*

სიტყვა „ღვინის“ ქართულ წარმოშობაზე მსჯელობას არ მოვყვებით, ჯერ საინტერესო დეტალს შევეხებით და შემდეგ **მანუჩარ მარკოიშვილს** მოვუსმინოთ. ერთ რუს მეცნიერს უწერია: დაღესტნური ენის ერთ-ერთ დიალექტზე სიტყვა „ალაზანი“ სამოთხეს ნიშნავსო. საქართველოში საუკეთესო მოსავალი ხომ სწორედ ალაზნის ველზე მოდის.

აი, რა უთხრა მარკოიშვილმა უკრაინელ ჟურნალისტს:

*- ორი წლის წინათ, მეგობრის დაბადების დღეზე “შალახო” ვიცეკვეთ, რომელშიც არის ასეთი ელემენტი: ხელის დაუხმარებლად იატაკიდან ჭიქა პირით უნდა აიღო და ღვინო ისე დალიო. ამ ილეთის შესრულება ვერავინ შეძლო. ვიფიქრე, ვცდი-მეთქი – გამომივიდა! ტაში დავიმსახურე, თუმცა იქვე ჩავფიქრდი: თუ ვინმემ მიცნო, კალათბურთელი ვიყავი, შეიძლება ეფიქრა, რომ ყოველდღე ასე ვსვამ (იცინის)... მიყვარს წითელი ღვინო, მაგრამ მისი ბევრი დალევა არ შეიძლება. ზოგჯერ ერთ ჭიქას ვსვამ, რათა დაღლილობა მომეხსნას და უკეთ დამეძინოს.*

მანუ საქართველოს ფარგლებს გარეთაც მეტად აფასებს ყურძენს:

*- სლოვენიის („ოლიმპიაში“ თამაშობდა) ქალაქ ლიუბლიანაში, სახლის ეზოში ლამაზი ტალავერი მქონდა, დასვენების დღეებში მის ქვეშ დაჯდომას არაფერი სჯობდა. ყურძენი უკრაინაშიც („კიევის“ ღირსებას იცავდა) დამხვდა: პირველიდან მესამე სართულამდე ვაზი იყო ამოყვანილი და შავ ყურძენს ისხამდა. თუმცა, ბინის პატრონის შიშით მტევანს ხელს ვერ ვადებდი...*

## კაცური საქმე

**კრიშტიანო რონალდოსა** და **ლიონელ მესის** დაპირისპირება ერთ-ერთ უკრაინულ საიტზე ახალ ფაზაში შევიდა: მესის შესახებ გამოქვეყნებული სტატიის ქვემოთ კომენტარებში ორი ქომაგი არასპორტულ ასპექტში ადარებდა ერთმანეთს „რეალისა“ და ბარსელონას“ ვარსკვლავებს.

„რონალდოს ქომაგი: - მესი ის არ არის, ჩიპსების რეკლამას რომ აკეთებს?

მესის ქომაგი: - ჩიპსების რეკლამა უფრო კაცური საქმეა, ვიდრე შამპუნისა.

რონალდოს ქომაგი: - რონალდოს ღამის კლუბი აქვს, რომელსაც მისი ძმა პატრონობს. აი, კაცური ბიზნესი.

მესის ქომაგი: - მესის უფრო მაგარი ბიზნესი აქვს - ღვინოს აწარმოებს.“






„ლეო“ და „ლემესი“ ასეთი სახელწოდებები აქვს მესის გამოშვებულ არგენტინულ ღვინოებს.



## ჟინოლას ფილოსოფია

ლეო მევენახეობაში ახალბედაა. სტაჟიანი მეღვინეა ყოფილი ფრანგი ფეხბურთელი **დავიდ ჟინოლა**. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მას სარეკლამო, სამოდელო ბიზნესში იწვევდნენ, მაგრამ დავიდს სხვა აზრი ამოძრავებდა - ოჯახური ტრადიციების გაყოლა.

*- პატარაობაში მამაჩემი წყლით სავსე ჭიქაში რამდენიმე წვეთ ღვინოს მისხამდა. მიხაროდა მასთან ერთად ღია ფერის ღვინოს რომ ვსვამდი. წამოვიზარდე და კოლექციის შეგროვება დავიწყე. შესაძლებლობა რომ მომეცა, ჩემი ვენახი (სან ტროპესთან ახლოს) გავაფართოე და საფეხბურთო ჯილდოებს, მეღვინეობაში მოპოვებული მედლები მივამატე,* - მოგვითხრობს ჟინოლა და დასძენს:

*- ვისაც ჭამა არ უყვარს, არც ღვინო ეყვარება. მიკვირს, როცა ვხედავ ადამიანს, რომელიც ღვინოს მიირთმევს და არაფერს ატანს. საჭმლის გარეშე ღვინო უბრალოდ ალკოჰოლია.*

ჟინოლა წითელ, ტკბილ ღვინოს ანიჭებს უპირატესობას, რომლის სმისასაც მის წინ ყველით სავსე თეფში უნდა იდგეს.

## 5 ლიტრი? ყოჩაღ ალმეიდა!



არგენტინის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **მატიას ალმეიდამ** ავტობიოგრაფიულ წიგნში „ცხოვრება და სული“ საინტერესო ამბები გაიხსენა.

*„ფეხბურთელობისას ვსვამდი და ვეწეოდი. ერთხელ 5 ლიტრი ღვინო დავლიე და ცუდად გავხდი. მდგომარეობიდან გამოსასვლელად ბევრი სირბილი დამჭირდა. ამის შემდეგ ექიმმა წვეთოვანი დამიდგა და დამეძინა. რომ გამეღვიძა, ოჯახის წევრები დამტრიალებდნენ, თავი საკუთარ გასვენებაში მეგონა.“*

## ვირჩევთ

**ორშაბათის შემდეგ თითქმის ყოველი ქართული ტელევიზიის ეთერში მუდმივად ციმციმებდა წარწერებიანი ხაზი, რომელსაც ეწერა: ეგზიტპოლის შედეგები ამა და ამ ორგანიზაციის გამოკითხვის მიხედვით. მოკლედ, ვინც როგორ ხედავდა, ისეთ შედეგებს აქვეყნებდა. არც ჩვენ ვართ გამონაკლისნი, არჩევნებს ასეთი (სპორტული) თვალით ვუყურებთ.**










## ეგზიტპოლის შედეგები












## გიჟი გული

მართალია, მესის, ჟინოლას თუ **ინიესტას** სათამაშო სტილის შედარება რთულია, მაგრამ ერთში უნდა შევთანხმდეთ: სამივე შემოქმედი ფეხბურთელია. ალბათ, ამიტომაც შეარჩიეს საქმე, რომელშიც დიდი შემოქმედება, სწორი გათვლა, დროული მოქმედებაა საჭირო. სწორედ ისე, როგორც ფეხბურთში.

მესისთან და ჟინოლასთან ერთად ინიესტა ვახსენეთ. როგორც მიხვდით, ისიც მეღვინეა. ანდრესმა მშობლიურ ფუენტეალბილეში ვრცელი ვენახი გააშენა და ეს კაცური საქმე მამამისს, **ხოსე ანტონიოს** ჩააბარა.

წარმოებაშია ინიესტას მარნის ღვინოები: „გიჟი გული“, „ვენახი და გზა“, „ვალერია“ (შვილის სახელია).

ანდრესმა კლუბ „ალბასეტეს“ აქციათა საკონტროლო პაკეტი იყიდა და გუნდის მაისურაზე დიდი ასოებით დააწერა საკუთარი ღვინის მარნის სახელი: „ბოდეგა ინიესტა“.






სტატიის წერა რომ დავასრულე, ჩემს ვენახში სამუშაო განახევრებული იყო (ერთ დღეში მოკრეფასაც ვასწრებთ და დაწურვასაც). ბებიაჩემი მოვიდა და მზრუნველი თვალით შემომხედა: დაიღალე, შვილო? დადებითი პასუხი რომ მიიღო, გაუკვირდა - ყურძენი შენ არ მოგიკრეფია და რამ დაგღალაო. განა სტატიისთვის მასალების კრეფას, შემდეგ ერთ საწნახელში მოთავსებას და დაწმენდილი პუბლიკაციის გამოწურვას ენერგია არ სჭირდება?

## ● ქართველი ისრაელში

# შერმადინი თასის ფინალში

ისრაელის თასის გათამაშების ნილისყრისას გუნდები ისე განაწილდა, რომ საქართველოს ნაკრების კალათბურთელები ერთმანეთს ფინალამდე არ უნდა დაპირისპირებოდნენ. **გიორგი შერმადინის** „მაქაბი“ ნახევარფინალში ჰაიფას „მაქაბის“ შეხვდა, ხოლო **ჯეიკობ პულენის** „ჰაპოელი“ (იერუსალიმი) - აშდოდის „მაქაბის“.

სამწუხაროდ გიორგი და ჯეიკობი ფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ, რადგან პულენის გუნდმა აშდოდელებთან 10 ქულის სხვაობით წააგო - 59:69. მატჩის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა, რომელშიც „მაქაბიმ“ 9:15 დამარცხდა.

წინა მატჩისგან განსხვავებით (29 ქულა) იერუსალიმელებს სათანადოდ ვერ დაეხმარა პულენი, რომელმაც 33 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მან 6 სამქულიანიდან და 9 ორქულიანიდან მხოლოდ 2 ორიანი ჩააგდო.

ქულათა სიუხვით ვერც გიორგი შერმადინი გამოირჩა, რომელმაც 18 წუთში 3 ქულა (4-დან 3 საჯარიმო), 7 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი ჩაიწერა.

გიორგის „მაქაბიმ“ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ჰაიფელი სეხნია - 86:79. მეოთხე პერიოდის დასაწყისში თელ-ავიველები 64:72-ს აგებდნენ, თუმცა გადამწყვეტ მომენტში მდგომარეობის გამოსწორება მოახერხეს და ბოლო წუთები დამაჯერებლად ჩაატარეს. შერმადინმა მეოთხე პერიოდის მეორე ნახევარი მოედანზე გაატარა. მისი ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ „მაქაბი“ 83:67 დაწინაურდა.

ფინალში, რომელიც შაბათს გაიმართება, ორი „მაქაბი“ ითამაშებს - თელ-ავივის და აშდოდისა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




## ● შეხვედრა წარსულთან

# განრისხებული მესხი!

**ფეხბურთი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა ქართველი კაცისათვის. ალბათ ამის ყველაზე მკაფიო დასტურია მიხეილ მესხის თამაში. ვინ მოთვლის, მესხით აღფრთოვანებულ გულშემატკივარს რამდენჯერ წამოუძახია, მიშკას ერთი ფინტი მირჩევნია მთელ თამაშსო! საქართველოში ნამდვილად, და მგონი მსოფლიოშიც, მესხი იყო ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც მარტო ქუჩაში კი არა, სტადიონზეც უკან დასდევდნენ თაყვანისმცემელნი. სტადიონის რომელ მხარესაც საყვარელი მარცხენა გარემარბი თამაშობდა, იქით გარბოდა აღტკინებული გულშემატკივარიც: ვთქვათ, პირველ ტაიმში აღმოსავლეთის და სამხრეთის ტრიბუნების შესაყართან, მეორე ტაიმში კი იგივე ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა საპირისპირო მხარეს, დასავლეთისა და ჩრდილოეთის ტრიბუნების ზღვართან, ანდა პირიქით! მესხი რომ ბურთით პირდაპირ მცველებზე ჯიქურ წავიდოდა და ფინტების კასკადით მიმოფანტავდა ყველას, სულ გვეგონა, მაშინ მიწისძვრა ხდებოდა და მოედანი ტორტმანებდა! „ტატოს ფეხთა ქვეშ დედამიწა დატორტმანებდა“, ბრწყინვალედ თქვა მშვენიერმა პოეტმა ზაურ ბოლქვაძემ გენიოს ნიკოლოზ ბარათაშვილზე და ჩვენც, როცა მიშას თამაშს ვიხსენებთ, ზაურის მიბაძვით ვიმეორებთ გულში: მესხის ფეხთა ქვეშ მოედანი დატორტმანებდა!.. როცა მესხი მოედანზე აბობოქრდებოდა, მთელ გადაჭედილ სტადიონს რომ გადარევდა, მაშინ გაგიჟებული გულშემატკივარი სხვა სიტყვებს ველარ პოულობდა და თავდავიწყებით გაიძახოდა: - შენი ჭირიმე, მიშკა, ღმერთი ხარ, ღმერთი!**

მესხის, მეტრეველის, ჩოხელის, კოტრიკაძის, იამანიძის, ბარქაიას, კალოევის, ხურცილავას, ზეინკლიშვილის, სიჭინავების, დათუნაშვილის, მელაშვილის, თბილისის „დინამოს“ თაობას, უბერებელი ვეტერანის, დიდი ავთანდილ ღოღობერიძის მეთაურობით, საბჭოთა ბრაზილიელები უწოდეს რუსმა ჟურნალისტებმა, ხოლო მიხეილ მესხს მტკვრისპირელი გარინჩა შეარქვეს. მკითხველს შევახსენებ, ბრაზილიელ ჟურნალისტებს რომ ჰკითხეს, პელე უფრო დიდია, თუ მარადონაო, უპასუხეს, ჯერ ის იკითხეთ, პელე უფრო დიდია, თუ გარინჩაო...

მესხი ხომ №11 მაისურით თამაშობდა (ბავშვობიდან დაწყებული, ბოლო თამაშამდე, ყველგან მეთერთმეტე ნომერი იყო!) და ამის გამო მთელი საქართველოს ბიჭუნები თერთმეტმეტრიანი მაისურებით დასდევდნენ ბურთს ეზოში, ქუჩაში, უბანში, სოფელსა თუ ქალაქში!

მესხის ფინტების კორიანტელით განიარაღებული, გაოგნებული არგენტინის ნაკრების მცველი ხუან სიმონე, თავის მშობლიურ სტადიონზე, ბუენოს აირესში, გამოეკიდა მანამდე უნახავ ფინტების მეფეს, ხელში აიტაცა და გულში ჩაიხუტა!

იგივე გაიმეორა ბრაზილიელმა სანტოსმა თბილისში, „ლოკომოტივის“, ამჟამად მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე!

ბრაზილიის ნაკრებმა, 1965 წელს, მოსკოვში საბჭოთა კავშირის ნაკრებს რომ იოლად მოუგო 3:0, მესხი იყო ერთადერთი, რომლის შეტევები ვერაფრით შეაჩერეს სანტოსებმა და ბრაზილიის ნაკრების მთელმა დაცვამ, თუმცა მასპინძლებმა ვერც ერთხელ ვერ ისარგებლეს მესხის საგოლე პასებით.

თბილისში, 1960 წელს, ჩვენმა „დინამომ“ 2:1 მოუგო მოსკოვის „სპარტაკს“ და სსრკ-ის თასის ფინალში გავიდა. მესხმა იმ თამაშში ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ ის გოლიც და ყველა გოლი, რაც ოდესმე ვინმეს გაუტანია, მოგონილია იმასთან, რა სასწაულიც მესხმა იმ დღეს ჩაიდინა!

მიშკამ თავისი ფინტით მოატყუა მეტოქე (ყველა ხომ მისი ფინტი იყო, მაგრამ იმ ერთს ეძახდა ხალხი მესხის ფინტს, როცა ბურთს ერთი მხრიდან შემოუტარებდა მეურვეს და თვითონ მეორე მხრიდან შემოურბენდა, გაოგნებული მცველი კი სანამ შემობრუნდებოდა, მესხი მშვიდად განაგრძობდა შეტევას). სპარტაკელი თავისთავად ამოყირავდა, მიშკას თითიც კი არ დაუკარებია, როგორც ახლა იტყვიან, არც დაკონტაქტებია! ამოყირავდა მოწინააღმდეგე, თავით მიწას დაასკდა, კისერი მოეღრიცა და ორივე ფეხი ტყუპად ჰაერში აპლაკა! გენიალური ფეხბურთელის შექმნილი ეს სულისშემძვრელი სურათი ბრწყინვალედ აღბეჭდა ფოტოზე გურამ თიკანაძემ: თავაწეული მესხი მეტოქის კარს გასცქერის, ბურთი წინ აქვს, წამიც, ზაურ კალოევი დაუძახებს: - მიხა (ასე ეძახდა ზაური!), გადმოკიდე!.. და მოხდება კიდევ ერთი სასწაული!.. ამოყირავებული სპარტაკელი კი, მესხის გვერდით ცხვირ-პირით მიწას „ხნავს“!..

მესხი და მეტრეველი ფიფამ რომ მიიწვია მსოფლიოს ნაკრებში, მეტრეველი გაუშვა მოსკოვმა, მესხი - არა, ორი ქართველი მსოფლიოს ნაკრებში მეტისმეტიაო!.. ორი გენიალური ფეხბურთელიდან მეტრეველი იმიტომ ამჯობინეს რუსებმა, რომ სლავას თამაშის მანერა თვალში საცემი არ იყო, მაშინ როდესაც მესხი თავისი განუმეორებელი სტილით აჯადოებდა მტერ-მოყვარეს. შედეგიანობით კი სლავა უფრო შედეგიანი იყო მიშაზე.

იცოდნენ რუსებმა, გადარევდა მესხი მსოფლიოს და უყარე მერე შენ კაკალი!..

მესხის მოტყუებული მეტოქე ისე იბნეოდა, განძრევის თავი აღარ ჰქონდა და იდგა გაოგნებული! მეტრეველი კი ისე ელვისებურად მიჰქროდა მეტოქის კარისაკენ, თითქოს მიწას არ აკარებს ფეხსო და მცველები ბეჯითი ასისტენტებივით დასდევდნენ უკან...

თბილისის „დინამოს“ რამდენჯერმე დააკარგვინეს ჩემპიონობა და თასი საბჭოთა მსაჯებმა. მხოლოდ 1964 წელს გატყდა ნავსი, ჩვენმა „დინამომ“ გადამწყვეტ მატჩში 4:1 გაანადგურა მოსკოვის „ტორპედო“ და პირველად გახდა სსრკ-ის ჩემპიონი! ქართველმა ერმა ეს დიდი გამარჯვება თბილისის სპორტის სასახლეში იზეიმა. მაშინ დიდებული კოტე მახარაძე, სხვა, გულში ჩამწვდომ სიტყვებთან ერთად, ამ სიტყვითაც მოეფერა სლავას: - მეტრეველი ფეხბურთის მოცარტია!!! იყვირა ბედნიერმა ხალხმა და მაშინვე დაიქუხა ქართული მეტყველების მეფემ, ეროსი მანჯგალაძემ: - თუ მეტრეველი ფეხბურთის მოცარტია, მაშინ მესხი ფეხბურთის ბეთჰოვენია!!! და სიხარულით გაგიჟდა ხალხი!..

ვითომ შემთხვევითია, ყველა, შინაურ-გარეულიანა, სულ მუსიკის გენიოსებს რომ ადარებს ჩვენს მართლაც გენიოს ფეხბურთელებს?!

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გივი ჩოხელი (მარჯვენა მცველი), სლავა მეტრეველი (მარჯვენა გარემარბი) და მიხეილ მესხი (მარცხენა გარემარბი) ევროპის პირველი ჩემპიონები გახდნენ! ეს მოხდა 1960 წლის 10 ივლისს. ხუთი დღის შემდეგ თბილისის „დინამომ“ 7:4 დაამარცხა ერევნის „არარატი“ და იმ თამაშში ევროპის ჩემპიონმა მიხეილ მესხმა 4 გოლი გაიტანა. კიდევ ხუთი დღის მერე ჩვენი „დინამო“ სამარცხვინოდ 1:5 დამარცხდა იმავე გუნდთან სტუმრად. წაგება და მოგება ძმები არიანო, ნათქვამია, მაგრამ წაგებას გააჩნია. როცა ვაჟკაცურ ბრძოლაში წაუგია „დინამოს“, საავგო არავის დასცდენია. ამჯერად კი ისე წააგეს ჩვენებმა, თითქოს სხვისი თამაშის საყურებლად არიან მოედანზე გამოსულიო. მარტო ავთანდილ ღოღობერიძემ ითამაშა კეთილსინდისიერად და კიდეც გაიტანა გოლი ამ დიდოსტატმა. მაგრამ ერთი გოლი რას უშველიდა ამხელა სირცხვილს? გულშემატკივრის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა! განსაკუთრებით მესხის თამაშს დაატყდა რისხვა!

- როგორ, ხუთი დღის წინ ოთხი გოლი გაუტანა „არარატს“ და ახლა რა ეშმაკი ეტაკა!..

- არ მოინდომა, არა!.. ფეხებზე დაგვიკიდა გულშემატკივრები!..

ცალკე ზევით გადაირივნენ, დაიბარეს „დინამო“ სადაც ჯერ არს და ყველას ტყავი გააძრეს, მესხს კი - ორპირი. არადა შემდეგი თამაში შინ როსტოვის არმიელთა ძლიერ გუნდთან ჰქონდათ. სწორედ როსტოველთა გუნდის ცენტრფორვარდი იყო ვიქტორ პონედელნიკი, მესხის პასით თავით რომ გაიტანა გოლი იუგოსლავიელთა კარში ევროპის თასის ფინალში და ამ გოლით საბჭოთა კავშირის ნაკრები ევროპის პირველი ჩემპიონი გახადა! ამ საგოლე პასის შესახებ პონედელნიკმა თავის წიგნში დაწერა შემდგომ, - მესხმა ისეთი ნაღდი საგოლე ბურთი ჩამოაწოდა კართან, ის რომ არ შემეგდო, შეუძლებელი იყოო, და აი, ევროპაში ასეთი ტრიუმფის ორიოდე კვირის შემდეგ, ფინალის გმირები თბილისში ხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად როგორც მეტოქეები. პონედელნიკს რა უჭირს, მესხმა იკითხოს, სამარცხვინო წაგების მერე არ გინდა ძლიერ მეტოქესთან შინ თამაში!



მიშკამ თავისი ფინტით მოატყუა მეტოქე (ყველა ხომ მისი ფინტი იყო, მაგრამ იმ ერთს ეძახდა ხალხი მესხის ფინტს, როცა ბურთს ერთი მხრიდან შემოუტარებდა მეურვეს და თვითონ მეორე მხრიდან შემოურბენდა, გაოგნებული მცველი კი სანამ შემობრუნდებოდა, მესხი მშვიდად განაგრძობდა შეტევას). სპარტაკელი თავისთავად ამოყირავდა, მიშკას თითიც კი არ დაუკარებია, როგორც ახლა იტყვიან, არც დაკონტაქტებია! ამოყირავდა მოწინააღმდეგე, თავით მიწას დაასკდა, კისერი მოეღრიცა და ორივე ფეხი ტყუპად ჰაერში აპლაკა! გენიალური ფეხბურთელის შექმნილი ეს სულისშემძვრელი სურათი ბრწყინვალედ აღბეჭდა ფოტოზე გურამ თიკანაძემ: თავაწეული მესხი მეტოქის კარს გასცქერის, ბურთი წინ აქვს

» მე-12 გვერდზე

<< მე-11 გვერდიდან

...მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე „დინამოს“ ბაზაში ავედით ორი მეგობარი. გვინდოდა გაგვემხნევებინა ბიჭები. შევაღეთ ბაზის ჭიშკარი და რას ვხედავთ, შესასვლელ გზაზე, მცხუნვარე მზეში დააბიჯებს მესხი. მივესალმეთ, პასუხად ისე შემოგვხედა, თითქოს პირველად გვხედავსო და უცებ ნერვიულად იყვირა, თქვენც? თქვენც იმათი გჯერათ?! მივხვდით, კაცი როგორ მოუშლიათ, მყისვე დავუყვავეთ, დაწყნარდი, მიშა, ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშალაო, აგერ დღეს ხომ გაქვთ თამაში და...

- დღეს ხომ იქნებით სტადიონზე? - ისე გვკითხა, თითქოს არ იცოდა, სადაც ვიქნებოდით და განაგრძო: - ხოდა, აბა ნახეთ, თამაშის დასაწყისში დიქტორი რომ მოთამაშეთა გვარების გამოცხადებას დაიწყებს, ხალხი რომ ატეხავს ჩვენს ლანძღვა-გინებას და მე ხომ სულ მიწაში ჩამდებენ. კარგად დაიხსომეთ, ხუთი წუთის შემდეგ იმ ხალხს სულ ხელისგულებს დავუხეთქავ ტაშისცემით!

- გვჯერა, მიშა, ჯერ არ გიქნია ეგრე თუ რა! - მაგრამ მესხი ჩვენ აღარ გვისმენდა, უცებ შებრუნდა და მტკიცე ნაბიჯით წავიდა. გაგვიკვირდა სიტყვაძუნწი მიშას ასეთი ტირადა, მაგრამ უცებ რომ დადუმდა და სახე გაუმკაცრდა, მივხვდით, გულს ჯავრი გადაეყარა და ისევ ის, მრისხანე მესხი გახდა! შვებით ამოვისუნთქეთ, დარწმუნებული ვიყავით, დღეს ხალხს უნინდებურად გადარევდა საყვარელი ფეხბურთელი!

რაკილა მესხი გაგვშორდა, სხვა ფეხბურთელებს მივაშურეთ. ვიგრძენით როგორ გვერიდებოდნენ, ეთაკილებოდათ სამარცხვინო წაგების ხსენება. ერთადერთი სერგო კოტრიკაძე გვესაუბრებოდა, თუმცა ისიც ძალიან განიცდიდა იმ წაგებას. სერგოს ენაწყლიანობის მიზეზი კი ის იყო, რომ იმ ავადსახსენებელ მატჩში მას არ უთამა-

**კოტე მახარაძე, სხვა, გულში ჩამწვდომ სიტყვებთან ერთად, ამ სიტყვითაც მოეფერა სლავას: – მეტრეველი ფეხბურთის მოცარტია!!! იხუვლა ბედნიერმა ხალხმა და მაშინვე დაიქუხა ქართული მეტყველების მეფემ, ეროსი მანჯგალაძემ: – თუ მეტრეველი ფეხბურთის მოცარტია, მაშინ მესხი ფეხბურთის ბეთჰოვენია!!! და სიხარულით გაგიჟდა ხალხი!..**

შია, იმ დღეს „დინამოს“ კარში სხვა მეკარე იდგა!

ამასობაში სტადიონზე წასვლის დრომაც მოატანა და ფეხბურთელებმა მიაშურეს ავტობუსს. ვიღაცამ დაგვიძახა, ბარემ თქვენც ჩვენთან ერთად წამოდითო და ასეც მოვიქეცით. დაიძრა ავტობუსი და მთელი გზა, დიღმის ბაზიდან დინამომდე, ისე ვიმგზავრეთ, კაციშვილს ხმა არ ამოუღია. მარტო მოტორის ხმა ისმოდა ავტობუსში. სტადიონთან რომ მივედით, საგურამოსა და მაიაკოვსკის ქუჩების კუთხეში გაჩერდა ავტობუსი (ახლა იმ ქუჩებს სლავა მეტრეველისა და დავით ყიფიანის ქუჩები ეწოდება!). ფეხბურთელები წყნარად სხედან. გავიდა წუთი, ავტობუსი დგას. ჩვენ გაგვიკვირდა, ხმას რომ არავინ იღებდა, ვერ გავიგეთ, მეტისმეტი სიმშვიდის, თუ მღელვარების გამო იყვნენ ფეხბურთელები დამუნჯებულები.

ბოლოს სულიკო თორაძე წამოხტა (ცენტრალური მცველი), კარი გააღო და მილიციელებს მკაცრად ჰკითხა:

- რა ხდება, რატომ არ გვიშვებთ?!

- არ შეიძლება, თამაშია! - უპასუხეს.

- მერე, „დინამოს“ რომ არ უშვებთ, თქვენ ითამაშებთ მის მაგივრად?!

მილიციელები ეჭვის თვალით მიაშტერდნენ ავტობუსს, ამ დროს საიდანღაც გაჩნდა უფრო განათლებული მილიციელი და იყვირა:

**მესხმა სიტყვა შეასრულა, სტადიონზე მოსული ათიათასობით გულგასიებული, მესხზე უზომოდ გაბრაზებული გულშემატკივარი უმალ მოინადირა და, მართლაც, ტაშის ცემით ხელისგულები დაახეთქინა აღტაცებულ ხალხს! ბედნიერია ის გულშემატკივარი, ვინც თავისი თვალით იხილა იმ დღეს განრისხებული მესხი!**

- გაუშვით, თბილისის „დინამო“!..

გაგვატარეს. ფეხბურთელები გასახდელისაკენ გაეშურნენ, ჩვენ - ტრიბუნებისაკენ. და აი გუნდები გამოვიდნენ მოთელვაზე, ჯერ როსტოველები გამოჩნდნენ, რომლებიც ტაშით დააჯილდოვა მაყურებელმა, ჩვენების გამოჩენაზე კი



გარინჩა და მესხი

ტრიბუნებზე სტვენა და „მაგარ-მაგარი“ სიტყვები გაისმა. დიქტორმა მოთამაშეთა გვარების გამოცხადება რომ დაიწყო, მაშინ ხომ ყურთასმენა აღარ იყო სტადიონზე. განსაკუთრებით მესხის გვარზე გამოჭენდა ხალხი. არადა მესხი მოთელვაზე არ გამოსულა. მხოლოდ მაშინ, როცა მსაჯმა გუნდები სათამაშოდ მოიხმო, მიშა თავდახრილი გამოვარდა გასახდელიდან. ამან სულ გადარია მაყურებელი!..

თამაში თბილისელებმა დაიწყეს. ბურთს მაშინვე დაეუფლა მესხი, ცენტრიდან მეტოქის კარამდე მოატყუა ყველა, თვითონ მეკარეც და გაიტანა პირველი გოლი! სულ მალე, ასევე ინდივიდუალური თამაშით მეორე და მესამე გოლები გაიტანა (შეაგდო მეოთხეც, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა)! მესხის პასებით ზაურ კალოევმა და შოთა იამანიძე ორ-ორი გოლი გაუტანეს სტუმრებს. „დინამომ“ 7:2 მოიგო ის თამაში!

რა ხდებოდა იმ დროს ტრიბუნებზე? განსხვავებულად დაგვამახსოვრდა მეგობრებს. ოთარი ჰყვება, სანამ მესხმა მესამე გოლი არ გაიტანა, მაყურებელს ხმა არ ამოუღიაო და მხოლოდ მესამე გოლის შემდეგ იხუვლა სტადიონმაო. მე კი მახსოვს, პირველივე გოლზე გალხვა გულშემატკივრის გაქვავებული გული და სიხარულით ცას ეწია ხალხი! თუმცა იმას რა მნიშვნელობა აქვს, ვის რა ახსოვს. მესხმა სიტყვა შეასრულა, სტადიონზე მოსული ათიათასობით გულგასიებული, მესხზე უზომოდ გაბრაზებული გულშემატკივარი უმალ მოინადირა და, მართლაც, ტაშის ცემით ხელისგულები დაახეთქინა აღტაცებულ ხალხს! ბედნიერია ის გულშემატკივარი, ვინც თავისი თვალით იხილა იმ დღეს განრისხებული მესხი!

**პონედელნიკმა თავის წიგნში დაწერა შემდგომ, – მესხმა ისეთი ნაღდი საგოლე ბურთი ჩამოაწოდა კართან, ის რომ არ შემეგდო, შეუძლებელი იყოო**

ამ სასწაულის შესახებ ხშირად ვყვებოდით ხოლმე და ერთხელაც ხასანა (იგივე გიორგი ნადირაძე, ახოვანი კაცი, პროფესორი, ისტორიკოსი) გვეუბნება, ახლა მე მომისმინეთ, რა დამემართა იმ დღესო. გულგასიებული ვზივარ სტადიონზე და ერთი სული მაქვს, დაიწყოს დიქტორმა ფეხბურთელთა გვარების გამოცხადება, რომ საკადრისად „შევამკო“ ყველა და განსაკუთრებით მესხიო! გაისმა ეთერში ჩვენების გვარები, ილრიალა სტადიონმა, მეც მოვრთე ღრიალი და მესხის გვარზე ხომ სულ გადავირიეო! დაიწყო თამაში და მიშა რომ სასწაულების ჩადენას შეუდგა, წამსკდა ცრემლი და ძლივსღა დავინახე როსტოველთა კარში შევარდნილი ბურთი. რამდენიმე წუთში მესხს მეორე გოლი გააქვს, იმასაც ლანდად ვხედავ, ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდის ამხელა კაცს და მრცხვენია, რომ დამინახავენ... ვცდილობ, დავმალო აცრემლებული თვალები, მაგრამ როგორ? თვალებზე რომ ავიფარო ხელი, მესხს ველარ დავინახავ!.. მარჯვენა ხელი კი ავიფარე გვერდიდან, მაგრამ მარცხნივ რაღა ვქნა (ხასანა ცალხელა იყო)? არადა მარცხნივ ზის ათიოდე წლის ბიჭუნა და ალალი, ბავშვურად გაკვირვებული თვალებით, შემომჩერებია ამხელა ატირებულ ბიძიას. მის გვერდით მამამისი მჯდარა. მიუბრუნდა ეს ბიჭი მამამისს და მწარედ გავიფიქრე, ეტყვის ახლა ჩემზე და დამიწყებს ის კაცი ლაილაის. მართლაც მომიბრუნდა კაცი, ხელი მხარზე მომითათუნა და ჩემზე უფრო თვალცრემლიანმა, აკანკალებული ხმით მითხრა:

- ნუ ტირი, ძმა, ნუ ტირი... - და ისევ წასკდა ცრემლი. აქეთ მე გადავფიჩინდი და ცრემლის ღვარი დავაყენე სტადიონზე. ველარც მესხის მესამე გოლი ვნახე წესიერად და ვერც ზაურის და შოთას გოლები. შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, მიშკა, რას გამხეთქე ტირილით ამხელა კაცი, იმ თამაშის გახსენებაზე სულ ამას ვამბობ გულში!..

აი, ასეთი სიხარული მიანიჭა იმ დღეს თბილისის „დინამომ“ ქართველ ერს, მიხეილ მესხის სასწაულების წყალობით!

დიახ, ფეხბურთი თვითმიზანი არასოდეს არ ყოფილა ქართველი კაცისათვის.

**ზურაბ რატიანი**
**ოთარ ღვაბერიძე**

## „ლელოს“ რედაქციას!

როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებში თბილისს სტუმრობდნენ ლეგენდარული ჩოგბურთელები **ბიორნ ბორგი** და **ილიე ნასტასე**. თქვენი გაზეთი ამ ფაქტს არ გამოხმაურებია. არადა, ეს ხომ ისტორიული მოვლენაა.

**ვახტანგ გვასალია**
თბილისი

**რედაქციისაგან:** ბორგის და ნასტასეს შესახებ რედაქციაში 5 დღით ადრე გვაცნობეს და დაგვპირდნენ, რომ აუცილებლად შეგვახვედრებდნენ ჩოგბურთის ლეგენდებს. ამის პირობა მოგვცა ცნობილმა მწვრთნელმა **ალექსანდრე ბაქშმაც**, რომელიც რედაქციაში გვსტუმრობდა. შემდეგ ისიც გვითხრეს, რომ შეხვედრის ორგანიზების თაობაზე აუცილებლად დაგვიკავშირდებოდა ალექსანდრე მეტრეველის წარმომადგენელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეხვედრა ვერ შედგა. ახლა ისტორიისთვის ვაფიქსირებთ ფაქტს Facebook-დან.

ქართული ოცნების“ ლიდერი მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდებს ბიორნ ბორგისა და ილიე ნასტასეს შეხვდა. შეხვედრას ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველიც დაესწრო. საუბარი ქართული ჩოგბურთის მომავალსა და ამ სფეროში არსებულ პრობლემებს შეეხო. ჩოგბურთელების განცხადებით, დაუშვებელია ის, რაც ქართულ სპორტში ხდება, როდესაც ნადგურდება ჩოგბურთის კორტები. ამასთან, სტუმრებმა იმედი გამოთქვეს, რომ ქართულ ჩოგბურთს დიდი მომავალი ექნება.



ბიძინა ივანიშვილი ჩოგბურთის კეგენდებთან

## შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** ზოგი რამ გამიგია წარსულში ცნობილი მოჭადრაკის, თავად ანდრია დადიანის შესახებ, მაგრამ მინდა მეტი ვიცოდე. მადლობელი დავრჩები თუ დამეხმარებით.

**ზვიად ჯიქია**
ზუგდიდი

**პასუხი:** თავადი **ანდრია დადიანი** 1850 წელს, 13 ივნისს დაიბადა ზუგდიდში. 1910 წელს კი 60 წლისა გარდაიცვალა კიევში (უკრაინა).

ანდრია დადიანი პირველი ქართველი მოჭადრაკეა, რომელმაც სახელი გაითქვა რუსეთსა და ევროპაში. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი სწავლობდა ცარსკოე სელოს პაჟთა კორპუსში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1874 წლიდან მსახურობდა რუსეთის არმიაში, იყო გენერალ-ლეიტენანტი. 1895 წლიდან ცხოვრობდა კიევში, თამაშობდა არაოფიციალურ ტურნირებში, ამხანაგურ მატჩებში ხვდებოდა იმ დროის ცნობილ მოჭადრაკეებს (ალექსანდრ სოლოვცოვს, სერაფინ დიუბუას, ილია შუმოვს და სხვებს), მეგობრობდა ივან ტურგენევთან. აქტიურად მონაწილეობდა დიდი საჭადრაკო ტურნირების ორგანიზებაში (მათ შორის მონტე-კარლოსა და მილანში). მისი პარტიები იბეჭდებოდა რუსულ და ფრანგულ საჭადრაკო გამოცემებში. 1903 წელს კიევში ცალკე კრებულად გამოიცა „სამეგრელოს პრინცს დადიანის პარტიების დაბოლოებები“.



ანდრია დადიანის ჭადრაკის ფიგურები



## დიდი სპორტის კარიბჭესთან



### გიორგი მეტრეველი

**სამბო**

**დაიბადა ხაშურის რაიონის სოფელ ვაყაში 1996 წლის 12 თებერვალს.**

**წონა** 60 კგ.

**სიმაღლე** 165 სმ.

**სწავლობს ს. ვაყის საჯარო სკოლის მე-11 კლასში.**

ვარჯიშობს 2006 წლიდან.

**მწვრთნელები ვაჟა ბალხამიშვილი და ბეგლარ ხარშილაძე**

**მიღწევები:** საქართველოს და ევროპის ჩემპიონი სამბოში კადეტთა შორის

ოცნებობს მსოფლიოს ჩემპიონობაზე

სპორტის გარდა გატაცებულია მუსიკით.

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ხელბურთელი, ქართული ხელბურთის ოქროს თაობის ღირსეული წარმომადგენელი

**კოტე ხატისკაცი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ევროპის ჩემპიონატი, U-19

# სმიტმა უმცროსი ბორჯღალოსნები შეკრიბა

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ოქტომბრის ბოლოს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში გაემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. ეს ტურნირი, მომავალ წელს გასამართი „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" გათამაშების შესარჩევი შეჯიბრებაა, სადაც პირველ ადგილზე გასული 2014 წელს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ითამაშებს.**

„უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" შოტლანდიელი თავკაცის, **იან სმიტის** ხელმძღვანელობით საწვრთნელი შეკრება „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" დღეს დაიწყეს. გუნდში ამჟამად 35 მორაგბეა გამოძახებული, რომელთაგან პორტუგალიაში 26 გაემგზავრება. აღსანიშნავია, რომ 19-წლამდელთა ნაკებში ხუთი ლეგიონერია, ესენია: **გიორგი სულუაშვილი** (სტრასბური), **გიორგი შარაშიძე** (კლერმონი), **მინდია ელგუჯაური** (მასი), **გიორგი თეთრაშვილი** და **ვახტანგ ახობაძე** (ორივე-ალბი).

შეჯიბრებაში ექვსი გუნდი იასპარეზებს, რომლებიც ორ ჯგუფში არიან განაწილებულნი. საქართველოს ნაკრების მეტოქეები A ჯგუფში ესპანეთისა და რუმინეთის თანატოლთა გუნდები იქნებიან. B ჯგუფში კი პორტუგალიის, ბელგიისა და რუსეთის ნაკრებები ითამაშებენ.

ფინალში ჯგუფებში გამარჯვებულები იასპარეზებენ, რომლებიც ავტომატურად მიიღებენ „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ლისაბონში 23 ოქტომბერს გაემგზავრება.



### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: დავით ხიდეშელი (ლელო), გიორგი მარგველანი (ივერია), მიხეილ მასხარაშვილი (ჯიქები), თორნიკე ჯიბლაძე (არმაზი), გიორგი სულუაშვილი (სტრასბური), გიორგი შარაშიძე (კლერმონი), გიორგი თეთრაშვილი, ვახტანგ ახობაძე (ორივე-ალბი).

მეორე ხაზი: გიორგი მჭედლიშვილი (ჯიქები), გიორგი გეგია (ლოკომოტივი), ვანო ბერიკაშვილი (აკადემია), მინდია ელგუჯაური (მასი), გიგა ჯულუხიძე (არმია).

მესამე ხაზი: ვახტანგ ამირანაშვილი (ივერია), ონისე მოგელაშვილი (ჯიქები), ფარნა გასვიანი (ლოკომოტივი), თორნიკე გოგლიძე (არია), გიორგი გოგლიძე (აკადემია), გიორგი მორგოშია (ლელო), რამაზ რუხაძე (ყოჩები).

№9: ირაკლი ლოლუა (ლელო), ლაშა ნადირაძე (ჯიქები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

№10: გიორგი ბასილაია (ხარები).

№12-13: ნიკა ამაშუკელი (ჯიქები), გიორგი აფციაური (არმია), ილია მელაძე (აკადემია), გიორგი კოდუა (თიბისი), გიორგი თუთბერიძე (ბაგრატი).

№11-14: რევაზ ბროძელი (არმაზი), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები), გიორგი ფრუიძე (აია), ბექა ტორაძე (ბაგრატი).

№15: საბა ნიკოლავა (არმია).

**A ჯგუფი:** საქართველო, ესპანეთი, რუმინეთი.

**B ჯგუფი:** ბელგია, პორტუგალია, რუსეთი.

**27 ოქტომბერი**

საქართველო-ესპანეთი

**31 ოქტომბერი**

საქართველო-რუმინეთი

ტესტები

# იაპონია საბრძოლველად ემზადება

**საქართველოს ნაკრები ნოემბერში ორ ტესტ-მატჩს გამართავს. „ბორჯღალოსნების" პირველი მეტოქე 17 ნოემბერს იაპონიის ეროვნული გუნდი იქნება, რომელსაც შარშან ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ ავსტრალიელი ედი ჯონსი ჩაუდგა სათავეში.**

ამომავალი მზის ქვეყნის შვილების თავკაცმა იმ 38 მორაგბეს სია გააცხადა, რომლებიც საწვრთნელ ბანაკში ტოკიოში შეიკრიბებიან. მოგვიანებით **ედი ჯონსი** საბოლოო შემადგენლობას დაასახელებს, რომლითაც საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებს დაუპირისპირდება.

აღსანიშნავია, რომ გუნდში დიდი რაოდენობით მოხვდა „იამაჰა ძუბილოს" მოთამაშეები, რადგან ამ გუნდმა სეზონი შესანიშნავად დაიწყო და ჩემპიონატის ლიდერია. ამასთან ერთად, იაპონიის ნაკრებში ორი ლეგიონერია, რომლებიც „ოტაგოს" შემადგენლობაში ახალი ზელანდიის ჩემპიონატში ასპარეზობენ. ესენია: **შოთა ჰორი** და **ფუმიაკი ტანაკა.** ისინი საწვრთნელი შეკრებიდან განთავისუფლებულნი არიან.

**იაპონიის ნაკრები**

შერკინება: იუსუკე ნაგაე, იოშიმიცუ იასუე, კენსუკე ჰატაკეიამე, ჰიროში იამაშიტა, ტაკუმა ასაჰარა, იუსუკე აოკი, შოთა ჰორიე, ჰარუკი ოტა, ჰიტოში ონო, ტოშიზუმი კიტაგავა, შინია მაკაბე, შოჯი იტო, მაიკლ ბროუდჰორსტი, მაიკლ ლიტჩი, დაიკი ჰაშიმოტო, იოშია ჰოსოდა, კოჯირო იოშიდა, ცუოში მურატა, ტაკაში კიკუტანი, რიო ჰოლანი, ჰენდრიკ ტუი.

უკნა ხაზი: ფუმიაკი ტანაკა, აცუში ჰივასა, ძენ ფუძიი, კოსეი ონო, ჰარუმიჩი ტატეკავა, იუტა იმამურა, კილრიონგ სო, აკიჰიტო იამადა, იუ ტამურა, ჯეფი იერომე, იუსუკი ჰაიაში, ტაკი ვატანაბე, მალე საუ, ტოშიაკი ჰიროსე, კოსუკე ჰაშინო, აიუმუ გორომაუ, ატუში ტანაბე.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სტუმრები

# სამხრეთაფრიკელი პიონერები თბილისში

**თბილისს სამხრეთაფრიკული სასკოლო რაგბის გუნდი „პიონერები" სტუმრობენ. მათ თბილისში ჩამოსვლა ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებისა და მოწვევის გარეშე გადაწყვიტეს.**

გუნდის ხელმძღვანელობის განცხადებით, საქართველოზე და ქართულ რაგბზე ბევრი რამ სმენიათ, ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ მიღწეული შედეგებია.

*„ჩვენთვის დიდი გამოცდილება იქნება საქართველოს ახალგაზრდულ კლუბებთან თამაში და ასევე თქვენი ქვეყნის დათვალიერება"* - ამბობენ სამხრეთაფრიკელები.

სკოლაში 635 მოსწავლეა, აქედან 284 ბიჭი, რომლებიც 10 სხვადასხვა ასაკობრივი სკოლის სარაგბო გუნდებში ირიცხებიან. „პიონერები" ყოველწლიურად თამაშობენ სამხრეთ აფრიკის სასკოლო ჩემპიონატში და საკმაოდ კარგი მიღწევები აქვთ. გასულ წელს მათ რამდენიმე ასაკობრივი ჩემპიონატი მოიგეს და დაეუფლნენ სუპერ თასს.

„პიონერებმა" პირველი ამხანაგური მატჩი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებთან გამართეს და 3:27 წააგეს. ასეთი მარცხი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მომქანცველ ფრენასთან და აკლიმატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემებით ახსნა, თან დაგვპირდა, რომ მომდევნო მატჩები სულ სხვაგვარად წარიმართება.

**რაგბის კავშირის პრეს სამსახური**



ლეგიონერები



მიხეილ ნარიაშვილი (მარცხნივ)

# ნარიაშვილმა ხელი სამწლიანს მოაწერა

**საქართველოს ნაკრების პირველხაზელმა მიხეილ ნარიაშვილმა საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მონპელიესთან" ხელშეკრულება სამი წლით გაახანგრძლივა.**

22 წლის ქართველი მორაგბე უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც „მონპელიეში" ჩაირიცხა. ნარიაშვილმა ერთი წელიწადი სათადარიგო გუნდში გაატარა. იქ მუყაითი შრომით დაამტკიცა, რომ მაღალ დონეზე თამაში შეუძლია და ძირითად გუნდში არაერთხელ გამოიჩინა თავი. ამიერიდან ქუთაისის „აიას" აღზრდილი მონპელიელეთა ღირსებას 2016 წლამდე დაიცავს. კლუბის ვებ გვერდზე მიხეილ ნარიაშვილთან ინტერვიუ გამოქვეყნდა. გთავაზობთ ამონარიდს ამ პუბლიკაციიდან.

**- მიშა, თქვენ ეს-ესაა „მონპელიესთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერეთ ხელი. ბედნიერი ხართ?**

- დიახ, რა თქმა უნდა. ძალიან მიხარია, რომ მომავალ სამ წელიწადს „მონპელიეში" გავატარებთ. მართალი გითხრათ, არ ველოდი. ამ გუნდში პროფესიული კონტრაქტის გაფორმება ჩემი ოცნება იყო, რაც ამიხდა. საამისოდ ყველაფერს ვაკეთებდი. კლუბის საწვრთნელ ცენტრში თავდაუზოგავად ვშრომობდი.

**- მომავალ სეზონში უკვე ნამდვილი პროფესიონალი იქნებით. ეს ფსიქოლოგიურად ხომ არ გთრგუნავთ?**

- დიახ, ეს ფაქტი ფსიქოლოგიურ წნეხს ზრდის. უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვიგრძნობ. მომდევნო სამი წლის განმავლობაში ყველამ მუხლჩაუხრელად უნდა ვიშრომოთ, რათა წინ წავიდეთ, გავძლიერდეთ. მე ეს არ მაშინებს. პირიქით, მოტივაციას მიზრდის.

**- როდესაც რაგბის თამაში დაიწყეთ, წარმოიდგენდით, რომ ასე მალე მიაღწევდით მაღალ დონეს?**

- რაგბის თამაში 14 წლის ასაკში დავიწყე. ჩემი მეგობრები დადიოდნენ რაგბიზე და მათ შემომთავაზეს მევარჯიშა. მართალი გითხრათ, ამ ამბავს სერიოზულად არ ვუყურებდი, მაგრამ თამაშმა იმდენად გამიტაცა, რომ აგერ ახლა თქვენ წინ ვდგავარ.

**- „მონპელიეში" როგორ მოხვდით?**

- საფრანგეთში კონტაქტი დავამყარე ერთ-ერთ კლუბთან, რომლის სახელსაც ახლა ვერ ვიხსენებ. მერე სინჯებზე მიმიწვია „აჟენმა", მაგრამ პასუხი არ მალირსა. ამ დროს მამუკა გორგოძემ დამირეკა და მითხრა, ჩვენი კლუბის საწვრთნელი ცენტრი პირველხაზელს ეძებს და ჩამოდი მოსინჯე ძალაო. ეს ყველაფერი შემთხვევით, ძალიან მალე მოხდა. მამუკას ყურმოკვრით ჰქონდა გაგონილი, რომ საფრანგეთში ვიყავი და კლუბს ვეძებდი. ერთი სიტყვით, ახლა „მონპელიეში" რომ ვარ მისი დიდი დამსახურებაა.

**P.S.** შეგახსენებთ, რომ მიხეილ ნარიაშვილმა საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ ოთხ მატჩში ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. ამჟამად ის ტრავმირებულია და გუნდს, სავარაუდოდ, სამი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ფეიქრიშვილი და ზირაქაშვილი ბრუნდებიან

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ქართველი პირველხაზელების ეპიდემიური ტრავმიანობის თაობაზე ერთი კვირის წინათ ვწერდით. ამჟამად ვითარება უკეთესობისკენ იცვლება.

უკვე გამოჯანმრთელდა და ძირითად შემადგენლობაში ითამაშა „მონპელიეს" შერკინების ბურჯმა **გიორგი ჟღენტმა.** სასიხარულოა, რომ თითქმის რვათვიანი უქმობის შემდეგ თამაშს შეძლებს „კასტრის" პირველხაზელი **ანტონ ფეიქრიშვილი.** ის გუნდის გაფართოებულ, 28-კაციან შემადგენობაშია შეყვანილი.

კასტრელები მე-8 ტურში შინ მიიღებენ **დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონს". ზირაქაშვილს წელის ტკივილები აწუხებდა და ორი ტური გამოტოვა. ამჟამად ის ჯანმრთელადაა და „ვულკანების" ძირითად შემადგენლობაშია. კოლელიშვილი განაცხადში არ არის.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## უცხოური სპორტი

ხელბურთი

# კარაბატიჩმა ნაწილობრივ აღიარა

საფრანგეთში გრძელდება ხელბურთში ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებული სკანდალი, რის გამოც პოლიციამ გუნდ „მონპელიეს“ რვა ხელბურთელი დააპატიმრა. მათ შორის არის თანამედროვე ხელბურთის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ნიკოლა კარაბატიჩი**.


ნიკოლა კარაბატიჩი

როგორც უკვე ვწერდით, საქმე ეხება ამა წლის მაისში, „მონპელიესა“ და „სესონს“ შორის გამართულ მატჩს, რომელზეც ტოტალიზატორებში დადებულმა საერთო თანხამ ჩვეულებრივ მაჩვენებელს 40-ჯერ გადააჭარბა და ამან პოლიციას ეჭვი გაუჩინა.

„მონპელიეს“ ხელბურთელებს ბრალად ედებათ ამ მატჩის შეგნებულად წაგება, რადგან ეჭვი აქვთ, რომ ამ გუნდის მოთამაშეებს, აგრეთვე მათ მეუღლეებსა თუ მეგობარ გოგონებს „მონპელიეს“ წინააღმდეგ ჰქონდათ ფსონები გაკეთებული.

გუშინ, დაკავებული ხელბურთელები თავდებით გაათავისუფლეს. ამასობაში ირკვევა, რომ კარაბატიჩმა უარყო მისი მხრიდან ფსონის დადება, მაგრამ ამასთან, აღიარა, რომ მისმა მეგობარმა გოგონამ მართლაც გააკეთა ფსონი აღნიშნულ მატჩზე.

ავტოსპორტი

# კუბიცამ 2013 დაგეგმა

პოლონელმა **რობერტ კუბიცამ** იტალიურ ჟურნალ Autosprint-ს ინტერვიუ მისცა და ისაუბრა თავის გეგმებზე ამ სეზონის დარჩენილ ნაწილსა და 2013 წლის სარბოლო სეზონში.

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა ამ შემოდგომაზე სამ რალიში მიიღო მონაწილეობა და ორში გამარჯვებას მიაღწია. უახლოეს ორ თვეში პოლონელი კიდევ ორ რბოლაში აპირებს სტარტზე გასვლას - იტალიურ „რალი დი კომოში“ და ფრანგულ „რალი დიუ ვარში“.

*„რალი გეხმარება გაუმკლავდე დაძაბულობას და თან ადრენალინი იგრძნო,* - ამბობს კუბიცა. - *ავტოდრომებზე კი გაცილებით მნიშვნელოვანია კონცენტრაციის შენარჩუნება. ავარიის შემდეგ, მე პრაქტიკულად ნულიდან მიწევს ყველაფრის დაწყება როგორც რალიში, ასევე ტრასებზე რბოლებში. ორივე კატეგორია მჭირდება სპორტული ფორმის აღდგენისთვის. წლის ბოლომდე არა მხოლოდ რალიში, არამედ ფორმულას ტიპის მანქანითაც ვაპირებ ძალების მოსინჯვას“.*

პოლონელმა ისიც განაცხადა, რომ მისი მომავალი 70-პროცენტიანი ალბათობით დაკავშირებული იქნება ფორმულას სერიებთან. შესაბამისად, 2013 წელს მისი მიზანია, სრულფასოვანი სეზონი ჩაატაროს რომელიმე პრესტიჟულ ჩემპიონატში. იმის გამო, რომ კუბიცა იტალიაში ცხოვრობს და უმეტესწილად, იქაურ სარბოლო წრეებში ტრიალებს, მისი დასაქმების ერთ-ერთი ყველაზე სავარაუდო ვარიანტია - Superstars-ის ჩემპიონატი. ერთი მხრივ, მასში საკმაოდ მძლავრი მანქანები გამოდიან, პილოტთა დონე კი მაღალი გახლავთ (ტურნირში ხშირად ვხედავთ ფორმულა 1-ის ექსპილოტებს). მეორე მხრივ, სერიის მონაწილეები კერძო გუნდები არიან, ამიტომაც პილოტზე ზეწოლა და მისი მისამართით ყურადღება პრესის მხრიდან, არც ისე დიდი იქნება.


რობერტ კუბიცა ბოლო რბოლის დროს

კალათბურთი

### ბერძნებმა ჩემპიონატი გადადეს

საბერძნეთის ჩემპიონატის სტარტი გაურკვეველი ვადით გადაიდო, - იტყობინება Novasport. ეს გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ კლუბებმა ვერ შეძლეს ტელევიზიებთან მოლაპარაკება მატჩების ტრანსლირების უფლების ღირებულებასთან დაკავშირებით.

მხარეები კარგა ხანი აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს და საბოლოოდ, შეთანხმებამდეც მივიდნენ, მაგრამ, ბოლო მომენტში, გარიგება ჩაიშალა.

### მემფისმა ვიცე-პრეზიდენტი დაკარგა

NBA-ის კლუბის „მემფის გრიზლისის“ საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტი **დან დევისი** საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს, - წერს USA Today. სიკვდილის მიზეზებზე ჯერ არაფერს იტყობინებიან.

56 წლის დევისი კლუბში პასუხისმგებელი იყო გუნდის მოგზაურობაზე, სასტუმროებში განთავსებასა და უსაფრთხოების საკითხებზე.

### მაკგრეიდიმ ჩინეთისკენ გაიხედა

ვებგვერდი Sportando.net ჩინურ პრესაზე დაყრდნობით წერს, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი ვარსკვლავი **ტრეისი მაკგრეიდი** მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩინურ კლუბ „ქსინდაოსთან“.

33 წლის კალათბურთელმა ჯერ ვერ იპოვა სამუშაო ადგილი NBA-ში და არ გამორიცხავს, რომ მიიღოს „ქსინდაოს“ სარფიანი წინადადება.

გასული სეზონი ტი-მაკმა „ატლანტას“ რიგებში გაატარა - 52 მატჩში მის ანგარიშზე 5.3 ქულა, 3.0 მოხსნა და 2.1 შედეგიანი პასი იყო.

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა



ეროვნული ბიბლიოთეკა
რადვანსკამ გაჭირვებით მოიგო

# ესპანური სენსაციები პეკინში

პეკინის „პრემიერ“ კატეგორიის ტურნირზე მორიგ სათამაშო დღეს დასრულდა მეორე წრე და პარალელურად, რამდენიმე მეოთხედფინალისტის ვინაობა შევიტყვეთ.

მეორე მატჩი მოიგო პეკინში **მარია შარაპოვამ**. შეგახსენებთ, რუსმა პირველ წრეში დიდი გაჭირვებით დაამარცხა რუმინელი **სიმონა ჰალეპი**. მას ამჯერადაც რუმინელი მეტოქე ჰყავდა - **სორანა კირსტეა**, ოღონდ ამ შემთხვევაში, შარაპოვამ ძალიან იოლად მოიპოვა მერვედფინალში თამაშის უფლება.

თამაში საათი და 18 წუთი მიმდინარეობდა და ამ დროის განმავლობაში შარაპოვამ ოთხჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, იმ დროს, როცა კირსტეამ ვერ მოახერხა ერთადერთი ბრეიკ-პოინტის რეალიზება.

ხასიათის გამოვლენამ მოუწია კიდევ ერთ ფავორიტს, პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას**. მისი მეტოქე - ესპანელი **ლურდეს დომინგეს ლინო** კარგ ფორმაში შეხვდა პეკინის ტურნირს, რაზეც წინა რაუნდში ბრიტანელი **ლორა რობსონის** დამარცხებაც მეტყველებს.

ამჯერად კი ესპანელმა კინაღამ რადვანსკაც გამოთიშა ბრძოლას. პირველი სეტი დომინგეს-ლინომ იოლად - 6:2 მოიგო, მეორეში პაუზა აიღო და 1:6 დამარცხდა, მესამეში კი ბრძოლა გაუმართა პოლონელს. ესპანელი ორჯერ დაწინაურდა ბრეიკით, მაგრამ მაინც ვერ გაძლო და გადამწყვეტი პარტია 4:6 დათმო. ჩოგბურთელები ცუდად თამაშობდნენ საკუთარ მოწოდებაზე - ორი საათისა და სამი წუთის განმავლობაში, რადვანსკამ შვიდი ბრეიკი გააკეთა, დომინგეს ლინომ - ექვსი.

ამ მოგებით აგნიეშკა რადვანსკამ მეოთხედფინალში გააღწია, სადაც მისი მეტოქე იქნება ორ ჩინელს - **ნა ლისა** და **შუაი პენგს** შორის გამარჯვებული.

ცენტრალური იყო შეხვედრა ფრანგ **მარიონ ბარტოლისა** და გერმანელ **იულია გორგესს** შორის. გორგესმა წინა რაუნდში ავსტრალიელი **სამანტა სტოსური** გამოთიშა ბრძოლას, რაც მის კარგ ფორმაზე მეტყველებდა.

ბარტოლისთვის ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ის წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად იბრძვის. შესაბამისად, ფრანგი ძალიან მობილიზებული ჩანდა და საათსა და 37 წუთში ორ სეტში გაიმარჯვა - 6:3, 7:6.

ბარტოლიმ ექვსი ბრეიკ-პოინტიდან ოთხი გამოიყენა და თავად, სამჯერ დათმო საკუთარი მოწოდება. ფრანგს ძალიან დაეხმარა ამ მატჩში კარგი მოწოდება - მან რვა ეისის შესრულება შეძლო. ბარტოლისთვის ეს მეოთხე მოგება იყო გორგესზე ხუთ ჩატარებულ მატჩში.

მეოთხედფინალში მარიონი ესპანელ **კარლა სუარეს ნავაროს** შეხვდება, რომელმაც მანამდე სერბი **ელენა იანკოვიჩი** გამოთიშა ბრძოლას. მეტოქეებს პრაქტიკულად არაფერი გამოსდიოდათ საკუთარ მოწოდებებზე. მთელი მატჩის განმავლობაში მათ 41 ბრეიკ-პოინტი მოიპოვეს და აქედან 16 გამოიყენეს! ორივე პარტიის ბოლოს, უფრო უკეთ სუარეს ნავარო გამოიყურებოდა - 7:5, 6:4. ესპანელი ძალიან კარგ ფორმაშია - ერთი წრით ადრე მან ჩეხი პეტრა კვიტოვა გამოთიშა ბრძოლას.

არ გაუმართლა სერბეთის მეორე წარმომადგენელს - **ანა ივანოვიჩს**, რომელიც შვეიცარიელ **რომინა ოპრანდის** ხვდებოდა. ეს უკანასკნელი მსოფლიოს კლასიფიკაციაში 69-ე ადგილს იკავებს და მისგან ბევრს არაფერს ელოდნენ აღნიშნულ შეხვედრაში.

მაგრამ შვეიცარიელმა ძალიან დამაჯერებლად ითამაშა და უშანსოდ მოუგო ივანოვიჩს. ოპრანდის ამისთვის მხოლოდ საათი და 11 წუთი დასჭირდა. მან ხუთი ბრეიკის გაკეთება შეძლო, იმ დროს, როცა ივანოვიჩმა მხოლოდ ორჯერ აიღო მეტოქის მოწოდება. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ასეთ ანგარიშში გამოიხატა - 6:4, 6:3 ოპრანდის სასარგებლოდ. ეს ამ ჩოგბურთელთა პირველი შეხვედრა იყო პროფესიულ ტურში.

აღსანიშნავია, რომ სერბების მძლეველები - სუარეს ნავარო და ოპრანდი კარიერაში პირველად გავიდნენ „პრემიერ“ კატეგორიის ტურნირის მეოთხედფინალში.

# ჯოკო ფორმაში შედის

პეკინის მამაკაცთა ტურნირში მერვედფინალური ეტაპის სამი მატჩი გაიმართა.

ერთ-ერთმა პირველმა მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ავსტრიელმა **იურგენ მელცერმა**, რომელსაც სამი სეტი დასჭირდა **ალექსანდრ დოლგოპოლოვის** დასამარცხებლად. ავსტრიელი უფრო აქტიური იყო და ჯამში 11 ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ მხოლოდ ორი ასეთი შანსის გამოყენება შეძლო. უკრაინელსაც ორი ბრეიკი ჰქონდა, თუმცა გაცილებით ნაკლები ბრეიკ-პოინტი - მხოლოდ ოთხი.

მეტოქეებმა პირველი ორი სეტი გაცვალეს, რის შემდეგაც მელცერმა საბოლოოდ მოიპოვა ინიციატივა და 6:1 მოიგო გადამწყვეტი პარტია.

ასევე სამ სეტში გაირკვა გამარჯვებული გერმანელი **ფლორიან მაიერისა** და რუმინელი **მარიუშ კოპილის** მატჩში. მაიერმა მოულოდნელად წააგო პირველი სეტი - 3:6, მაგრამ შემდეგ მოახერხა ინიციატივის მოპოვება, მომდევნო ორ პარტიაში ოთხი ბრეიკი გააკეთა და 6:3, 6:2 გაიმარჯვა.

რუმინელს ამ მატჩში ვერ უშველა კარგმა მოწოდებამ - მან 13 ეისი ჩააწოდა, იმ დროს, როცა მაიერს მხოლოდ სამი ასეთი მოწოდება ჰქონდა. მატჩი საათსა და 43 წუთს გაგრძელდა.

გერმანელს მეოთხედფინალში ჩინელ **ჟიე ჟანგთან** ელის შეხვედრა. ამ უკანასკნელმა გუშინ, სენსაციურად მოუგო ფრანგ **რიშარ გასკეს**, რომელმაც გასულ კვირას ბანგკოკის ტურნირზე მოიპოვა მთავარი პრიზი.

ძალიან იოლად გავიდა მეოთხედფინალში ტურნირის მთავარი ფავორიტი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. შეგახსენებთ, რომ წინა რაუნდში ჯოკოვიჩს ბრძოლა გაუმართა ვეტერანმა გერმანელმა **მიხაელ ბერერმა**, რომელმაც ერთი სეტი აართვა მსოფლიოს მეორე ჩოგანს.

ამჯერად, ჯოკოვიჩი უფრო მობილიზებული ჩანდა არგენტინელ **კარლოს ბერლოკთან** მატჩში და შანსი არ დაუტოვა მას. სერბი განსაკუთრებით კარგად მიღებაზე თამაშობდა - მან ორი ბრეიკი გააკეთა პირველ სეტში და ოთხი - მეორეში. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ არგენტინელს ორი საკუთარი გეიმი დაუთმო.

საათსა და 14 წუთში დაფიქსირდა ასეთი ანგარიში - 6:1, 6:3 ჯოკოვიჩის სასარგებლოდ. მეოთხედფინალში ჯოკოვიჩი იურგენ მელცერს შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ჟიე ჟანგი

კალათბურთი. NBA 2012-13 წელი

# სეზონის წინ: მაიამი ჰიტი

### მაიამი ჰიტი 2011-12

**თავდასხმა:** საშუალოდ 104,3 ქულა - მე-6 ლიგაში

**დაცვა:** საშუალოდ 97,1 ქულა - მე-4 ლიგაში

### წინა ხაზი

**რაშარდ ლუისი** საკმაოდ დიდ დროს გაატარებს მისთვის უჩვეულო - მძიმე ფორვარდის პოზიციაზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ ზაფხულს განხორციელებული ტრანსფერების წყალობით, მოთამაშეთა როტაცია უფრო მრავალფეროვანი და ნაკლებად ტრადიციული იქნება.

**შეფასება:** 4

### უკანა ხაზი

საერთო ჯამში, ამ გუნდს არ სჭირდება შემტევი მცველი, მაგრამ თუ მაინც უწევთ ასეთი კალათბურთელის აყვანა, მაშინ ის ერთ-ერთი საუკეთესო უნდა იყოს. **რეი ალენი** უკვე 37 წლისაა და ამ ზაფხულს ფეხზე ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ ამასთან, ის არ იქნება დატვირთული დიდი სათამაშო დროით და არც პასუხისმგებლობა დაეკისრება ყოველი მატჩის შედეგზე.

**შეფასება:** 4

### დაცვა

ამ მომენტისთვის არც ალენი და არც ლუისი არ მიიჩნევიან კარგ მცველებად, მაგრამ „მაიამის" ეს არ ანაღვლებს. თითოეულ სათამაშო ხუთეულში არიან მოთამაშეები, რომლებსაც ისეთი სისწრაფე და ათლეტიზმი გააჩნიათ, რომ დანარჩენი გუნდები მხოლოდ ინატრებდნენ ასეთ კალათბურთელებს.

**შეფასება:** 3

### სათადარიგოთა სკამი

რა უნდა იყოს იმაზე კარგი, ვიდრე სათადარიგოთა სკამის გამოცდილი ვეტერანებით დაკომპლექტება, რომლებსაც უყვართ და შეუძლიათ დისტანციიდან სროლა. ერთადერთი საკითხი - მათი ჯანმრთელობაა. ალენმაც და ლუისმაც შარშან ბევრი მატჩი გამოტოვეს სხვადასხვა ტრავმის გამო.

**შეფასება:** 4

### მწვრთნელი

„დიდ ტრიოსთან" პირველი რთული სეზონის შემდეგ, **ერიკ სპოელსტრამ** მეტად არასტანდარტული გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც მოედანზე მოთამაშეთა როტაციას ეხებოდა. საბოლოოდ, „ჰიტი" ჩემპიონი გახდა, სპოელსტრა კი ერთ-ერთი იმ ოთხ მოქმედ მწვრთნელს შორის, რომლებიც საჩემპიონო ბეჭდით იწონებენ თავს.

**შეფასება:** 4

### საბოლოო შეფასება

მიღებულია, რომ კალათბურთში ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიციებია - ცენტრი და გამთამაშებელი. „მაიამიში" არ არიან მოთამაშეები, რომლებიც ამ პოზიციებზე ლიგის ტოპ-ათეულებში შედიან.

გასულმა წელმა აჩვენა, რომ ეს მტკიცებულება - მხოლოდ მითია. გუნდმა უბრალოდ მოედანზე შეუშვა საუკეთესო მოთამაშეები, **ლებრონ ჯეიმსი** კი ერთნაირად წარმატებით ირჯებოდა ყველას ნაცვლად - დაწყებული პირველი ნომრით და დამთავრებული მძიმე ფორვარდით. ვერც ერთმა დანარჩენმა გუნდმა ამას ვერაფერი დაუპირისპირა.

„ლეიკერსის" მიერ **დუაიტ ჰოვარდის** შეძენამ, რა თქმა უნდა, „მაიამის" ზედიზედ მეორედ გაჩემპიონების შანსები ოდნავ დაბლა დაწია. მაგრამ, ლებრონ ჯეიმსი თავისი კარიერის მწვერვალზე იმყოფება. ძალიან რთულია მის გვერდით დააყენო პლანეტის ნებისმიერი სხვა მოთამაშე. გუნდის ხელმძღვანელობა კი მას მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს შეუქმნის იმისთვის, რომ „მეფე" კიდევ ერთხელ გახდეს ჩემპიონი.

**საერთო შეფასება:** 4



რეი ალენი მაიამიში ითამაშებს

# სიმულანტობა მკაცრად დაისჯება




ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ სიმულაციის წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი წესები შემოიღო, რომელიც 2012-13 წლების სეზონიდან შევა ძალაში, - წერს NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი.

იტყობინებიან, რომ მატჩების დროს სიმულანტების წინააღმდეგ არანაირ სანქციებს არ გაატარებენ, მაგრამ თუ სპეციალური კომისია მატჩის ვიდეოჩანაწერის დროს შესაბამის დარღვევას აღმოაჩენს, კალათბურთელს გაფრთხილებას მისცემენ. განმეორებითი დარღვევა უკვე ფულად ჯარიმას ითვალისწინებს:

**მეორე დარღვევა:** ჯარიმა 5 ათასი დოლარის ოდენობით;
**მესამე დარღვევა:** 10 ათასი დოლარი;
**მეოთხე დარღვევა:** 15 ათასი დოლარი;
**მეხუთე დარღვევა:** 30 ათასი დოლარი.

იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშე მეექვსედ ან უფრო მეტჯერ დაარღვევს წესს, გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ შეიძლება გაზარდოს ფულადი ჯარიმა ან დისკვალიფიკაცია გამოუტანოს კალათბურთელს.

# კობი ნაკლებს ითამაშებს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** დამდეგ სეზონში უფრო ნაკლებ სათამაშო დროს მიიღებს, ვიდრე შარშან.

თავის მე-16 სეზონში, კობი მოედანზე საშუალოდ 38.5 წუთს ატარებდა. კალიფორნიელთა მთავარი მწვრთნელის **მაიკლ ბრაუნის** თქმით, ახალი რეგულარული ჩემპიონატის დაწყებასთან ერთად, სიტუაცია უნდა შეიცვალოს.

*„თუ საშუალება იქნება, აუცილებლად ვეცდები შევამცირო მისი სათამაშო წუთები, რადგან 38 წუთი - ძალიან ბევრია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავად ბრაიანტი იტყვის, რომ მზად არის 48 წუთი სათამაშოდ და მართლაც იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ის გუნდს თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ეხმარებოდა. მაგრამ, ახლა, სიტუაცია შეიცვალა და ვფიქრობ, „ლეიკერსს" საკმაოდ გრძელი სკამი აქვს იმისთვის, რომ ოდნავ შევუმსუბუქოთ მას დატვირთვა"*, - განცხადა ბრაუნმა.

საშუალოდ მატჩში 38.5 წუთი - არ არის ბრაიანტის კარიერაში უმაღლესი მაჩვენებელი. 2000-01, 2002-03, 2004-05, 2005-06 და 2006-07 წლების სეზონში „ლეიკერსის" მცველი მოედანზე 40 წუთზე მეტს ატარებდა.



კობი ბრაიანტი

# რაშიდი ოფიციალურად ნიქსშია

„ნიუ იორკ ნიქსის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა კონტრაქტის გაფორმება ფორვარდ **რაშიდ უოლესთან**, - წერს კლუბის ვებგვერდი. ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. შეგახსენებთ, რომ 38 წლის ვეტერანმა პროფესიული კარიერა 2010 წლის ზაფხულში დაასრულა.

რაშიდი 1995 წელს, „ვაშინგტონმა" აირჩია დრაფტის მეოთხე ნომრად. კალათბურთელმა „ვაშინგტონის", „პორტლენდის", „ატლანტას", „დეტროიტისა" და „ბოსტონის" რიგებში ჯამში 16 სეზონი ჩაატარა და 2003-04 წლების სეზონში „დეტროიტის" რიგებში ჩემპიონი გახდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| ანჟი-იანგ ბოიზი | 2:0 |
| ლივერპული-უდინეზე | 2:3 |
| აკადემიკა-ჰაპოელი (თ-ა) | 1:1 |
| ატლეტიკო-პლზენი | 1:0 |
| მარსელი-აელ | 5:1 |
| ბორუსია (მ)-ფენერბაჰჩე | 2:4 |
| ბრიუგე-მარიტიმუ | 2:0 |
| ნიუკასლი-ბორდო | 3:0 |
| მიოლდე-შტუტგარტი | 2:0 |
| სტიაუა-კოპენჰაგენი | 1:0 |
| აიკ-დნიპრო | 2:3 |
| ეინდჰოვენი-ნაპოლი | 3:0 |
| ბაზელი-გენკი | 2:2 |
| ვიდეოტონი-სპორტინგი | 3:0 |
| ნეფთჩი-ინტერი | 1:3 |
| რუბინი-პარტიზანი | 2:0 |
| ირონი-ლიონი | 3:4 |
| სპარტა-ბილბაო | 3:1 |
| ლაციო-მარიბორი | 1:0 |
| პანათინაიკოსი-ტოტენჰემი | 1:1 |
| მეტალისტი-რაპიდი | 2:0 |
| რუსენბორგი-ლევერკუზენი | 0:1 |
| ჰანოვერი-ლევანტე | 2:1 |
| ჰელსინგბორგი-ტვენტე | 2:2 |

**ევრო 2013**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-ირლანდია | 0:2 |
| მაკედონია-შვედეთი | 0:4 |
| პორტუგალია-ნორვეგია | 0:1 |
| ისლანდია-მალტა | 2:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰონკა-მიუპა | 1:1 |

**თურქეთის თასი**

**II რაუნდი**

| | |
|---|---|
| თექიროვა-ალთაი | 2:4 |
| ტრაბზონი 1461-ვანი | 4:1 |
| ქადირლი-ურფა | გადაიდო |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| განჯა-ყარაბახი | 0:0 |
| ბაქო-გაბალა | 1:1 |
| სიმურგი-სუმგაიტი | 1:0 |
| რავანი-ინტერი | 0:2 |

### ხელბურთი

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-ჩეხ. მედვედი | 27:27 |
| დინამო (მნ)-ზაგრები | 27:27 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-ტრაქტორი | 0:6 |
| სიბირი-მეტალურგი (მ) | 1:2 |
| სპარტაკი-ცსკა | 1:2 (ო) |
| დინამო (მნ)-ტორპედო | 0:3 |

**დანია**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-სონდერიისკი | 2:6 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სპარტა | 3:4 (ო) |
| სტორჰამარი-ლორენსკოგი | 2:3 |
| სტრიერნენი-ტონსბერგი | 7:4 |
| ფრისკ ასკერი-ლილეჰამერი | 1:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-კერპეტი | 4:3 (ო) |
| იოკერიტი-ჰიფკ | 4:2 |
| პელიკანსი-ლუკო | 1:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-სპარტა | 3:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრინასი-ფერიესტადი | 1:4 |
| ვექსიო-ჰვ71 | 1:4 |
| მოდო-ლულეა | 3:2 |
| როგლე-ფრიოლუნდა | 2:0 |
| შელეფტეო-აიკ | 3:1 |

### ჩოგბურთი

**ATP. პეკინი**

| | |
|---|---|
| იუჟნი-ანდერსონი | 6:3, 6:3 |
| ჟანგი-გასკე | 6:4, 3:6, 6:4 |
| ლოპესი-ლუ | 6:3, 7:6 |
| კუერი-სეპი | 6:1, 6:4 |

**ATP. ტოკიო**

| | |
|---|---|
| ტიპსარევიჩი-ჩიუდინელი | 6:4, 6:2 |
| რაონიჩი-ტროიცკი | 3:0 უარი |
| ფალა-ბერდიხი | 3:6, 5:7 |
| ბაღდატისი-მონაკო | 7:5, 1:6, 6:3 |
| ნიშიკორი-რობრედო | 5:7, 6:1, 6:0 |
| იტო-ტურსუნოვი | 5:7, 3:6 |

**WTA. პეკინი**

| | |
|---|---|
| ჰერცოგი-შარაპოვა | 0:6, 2:6 |
| აზარენკა-ვესნინა | 6:3, 6:3 |
| კერბერი-ვოზნიაცკი | 6:1, 2:6, 6:4 |
| ნა ლი-პენგი | 4:6, 6:2, 7:6 |

## TV პროგრამა

### 5 ოქტომბერი. პარასკევი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სპარტა-ბილბაო.
**12:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლაციო-მარიბორი.
**14:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ნიუკასლი-ბორდო.
**16:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-უდინეზე.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVII ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. VII ტური. აუგსბურგი-ვერდერი (LIVE).
**00:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
**18:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ჰანოვერი-ლევანტე.
**20:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ეინდჰოვენი-ნაპოლი
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-უდინეზე.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ლეიკერსი-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**19:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ტოკიო. იაპონია.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 16 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 17 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 18 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 16 | 23 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 16 | 23 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 14 | 25 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 15 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 17 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 5 | 19 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 8 | 23 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 7 | 15 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1503 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6607 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6756 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3237 |

ჩოგბურთი

# ისევ ნადალის შესახებ

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა გუშინ მსოფლიოს მეოთხე ჩოგანის **რაფაელ ნადალის** მწვრთნელმა და ბიძამ - **ტონი ნადალმა**. მისი თქმით, რაფა მალე მზად იქნება ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობისთვის.

*„15 დღის შემდეგ, რაფაელი ვარჯიშებს დაუბრუნდება და მოემზადება დევისის თასის ფინალისთვის და წლის შემაჯამებელი ტურნირისთვის. აუცილებელია იმის გაგება, როგორ გაუძლებს მუხლები დატვირთვებს და მხოლოდ ამის შემდეგ მივხვდებით, შეძლებს თუ არა ის ამ ტურნირებზე გამოსვლას"*, - ამბობს ტონი ნადალი ვებგვერდ welovetennis.fr-თვის მიცემულ ინტერვიუში.

ფორმულა 1

# შუმახერი საბოლოოდ წავიდა



მიხაელ შუმახერი სინგაპურის გრანპრიზე

იაპონიის უქმეების წინ, **მიხაელ შუმახერმა** გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც შეატყობინა საავტომობილო სამყაროს, რომ აღარ აპირებს კარიერის გაგრძელებას და ამ სეზონის შემდეგ რბოლებს დატოვებს.

*„სეზონის შემდეგ ფორმულა 1-ის დატოვება გადავწყვიტე, მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია მსოფლიოს საუკეთესო პილოტებთან ბრძოლა. ამის გამო სიამაყის გრძნობა მიპყრობს და ნაწილობრივ, ამ მიზეზით ერთხელაც არ მინანია ჩემი დაბრუნების გამო. შემიძლია კმაყოფილი ვიყო საკუთარი სამუშაოთი და იმით, რომ მუდმივად ვპროგრესირებდი ბოლო სამი წლის განმავლობაში, მაგრამ ახლა დადგა მომენტი, როცა ავტოსპორტს უნდა გამოგეთხოვო.*

*ბოლო რამდენიმე კვირისა თუ თვის განმავლობაში დარწმუნებული არ ვიყავი იმაში, რომ მოვძებნიდი მოტივაციას ან ძალას კარიერის გასაგრძელებლად, ხოლო ჩემი სტილი არ არის რბოლებში მონაწილეობა იმ დროს, როცა 100 პროცენტით არ ვარ დარწმუნებული საკუთარ თავში. დღევანდელი განცხადება საერთოდ მანთავისუფლებს ამ ეჭვებისგან. უბრალოდ ტრასაზე გასვლა - არ შეესაბამება ჩემს ამბიციებს, მინდა გამარჯვებისთვის ვიბრძოლო და მანქანის მართვისგან სიამოვნება მივიღო.*

*2009 წლის ბოლოს ვამბობდი, რომ მინდა ჩემ შესახებ რეალური მიღწევებით იმსჯელონ, ამიტომაც იყო ბოლო სამ წელიწადში ამდენი კრიტიკა, რაც, ნაწილობრივ გამართლებული გახლდათ. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ ვერ მივაღწიეთ დასახულ მიზნებს - ვერ შევძელით ტიტულისთვის ბრძოლა და მუდმივად ვაგვარებდით მანქანასთან დაკავშირებულ პრობლემებს.*

*ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე, მაგალითად, გულღია ურთიერთობა ისე, რომ არ დაკარგო მოტივაცია. წაგებამ შეიძლება უფრო მეტი გასწავლოს, ვიდრე გამარჯვებამ და მე ეს არ ვიცოდი ჩემი კარიერის პირველ ნაწილში. უნდა დააფასო ის, რაც ნამდვილად გიყვარს და მე შევძელი ამისთვის სულ სხვა თვალით შემეხედა.*

*მინდა მადლობა გადავუხადო Daimler-ს, Mercedes-Benz-ს და გუნდს გამოცხადებული ნდობისთვის, მადლობა ვუთხრა მეგობრებსა და პარტნიორებს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მხარს მიჭერდნენ. მაგრამ ყველაზე დიდი მადლიერება ჩემს ოჯახს ეკუთვნის, რომელიც იზიარებდა ჩემს სიხარულს და ისეთ ცხოვრების საშუალებას მაძლევდა, როგორიც მე მსურდა"*, - წერია მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის განცხადებაში.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, შუმახერის განცხადება გუშინდელი დღის მთავარი მოვლენა იყო, მაგრამ ასევე საინტერესო გახლდათ ინფორმაცია მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი ჩემპიონის **კიმი რაიკონენის** შესახებ. კერძოდ, უახლოეს დღეებში ფინელი პილოტის გუნდი - „ლოტუსი" კიმისთან კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადებს.

ბრიტანული Autosport-ის ინფორმაციით, სინგაპურის უქმეებისას გუნდმა გამოიყენა კონტრაქტში არსებული პუნქტი და 2013 წლის ბოლომდე გააგრძელა ხელშეკრულება.

■ ■ ■

მომავალ უქმეებზე კი იაპონიაში გაგრძელდება ტიტულისთვის ბრძოლა. ბევრმა ექსპერტმა გამოაცხადა, რომ ჩემპიონობისთვის მხოლოდ ორი პილოტი - **ფერნანდო ალონსო** და **სებასტიან ფეტელი** იბრძოლებენ, მაგრამ გუშინ, „მაკლარენის" ხელმძღვანელობამ ოპტიმისტური განცხადება გააკეთა - ბრიტანულ გუნდს ორივე ჩათვლაში პირველობა სურს...

უახლოეს დღეებში ასევე გაიმართება რალის მომდევნო ეტაპი. ფრანგი **სებასტიან ლოები** ახლოა მეცხრე ტიტულთან და შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჩემპიონობა სწორედ სამშობლოში გაიფორმოს.

**ფორმულა 1**

**იაპონიის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - სუზუკა, იაპონია
**წრის სიგრძე** - 5 807 მ
**საუკეთესო წრე** - 1:31,540 (რაიკონენი, 2005)

**საერთო ჩათვლა**

1. ალონსო (ფერარი) - 194
2. ფეტელი (რედ ბული) - 165
3. რაიკონენი (ლოტუსი) - 149
4. ჰემილტონი (მაკლარენი) - 142
5. უებერი (რედ ბული) - 132
6. ბატონი (მაკლარენი) - 119
7. როსბერგი (მერსედესი) - 93
8. გროსჟანი (ლოტუსი) - 82

**განრიგი**

5 ოქტომბერი, 05:00 - I პრაქტიკა
5 ოქტომბერი, 09:00 - II პრაქტიკა
6 ოქტომბერი, 06:00 - III პრაქტიკა
6 ოქტომბერი, 09:00 - კვალიფიკაცია
7 ოქტომბერი, 10:00 - რბოლა

**რალი**

**საფრანგეთი**

შტაბი - ელზასი
საფარი - ასფალტი
სპეცმონაკვეთების რაოდენობა - 22
დისტანცია - 404,90 კმ

**საერთო ჩათვლა**

1. ლოები (სიტროენი) - 219 ქულა
2. ჰირვონენი (სიტროენი) - 158
3. პ. სოლბერგი (სიტროენი) - 1119
4. ოსტბერგი (ფორდი) - 114
5. ლატვალა (ფორდი) - 113
6. ნოვიკოვი (ფორდი) - 63
7. პროკოპი (ფორდი) - 40
8. ნოივილი (სიტროენი) - 38

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორტუნა Fortuna

აიღეთ ფორტუნა ბარათი!
გახდით იღბლიანი 77-ე და
თქვენ ფორტუნა ანგარიშზე
ჩაგერიცხებათ
77 ლარი!
გაიგეთ მეტი: fortuna.emoney.ge



შეავსეთ თქვენი ბალანსი ონლაინ სათამაშო პორტალებზე და გამოიტანეთ თანხა მარტივად!
დარეგისტრირდით უფასოდ ან მიიღეთ ფორტუნა ბარათი
ლიბერთი ბანკის ფილიალებში დღესვე!
fortunacard.ge
fortuna.emoney.ge
255 55 00

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**